საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 მაისი 2007 №115 (3038) ფასი 50 თეთრი




# ფილმი, რომელიც კი არ კლავს, შობს!
## დღეს: ისევ კალაძე თუ ისევ ლივერპული?






მძაფრსიუჟეტიანი ფილმი „მილანი" — „ლივერპული", რომელშიც ბოლოს არავინ კვდება და „ლივერპული" იმარჯვებს, ორი წლის წინ სტამბოლში აჩვენეს.

ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგამ ინება, რომ ფილმი არ დასრულებული ყო და მეორე სერიას დღეს გვთავაზობს, ოღონდ მოქმედება ათენში ხდება. მწვრთნელები: იგივენი — კარლო ანჩელოტი და რაფაელ ბენიტესი. ბენიტესს საამმატჩოდ ოთხნაირი გეგმა მოუმზადებია, რომლებსაც A, B, C და D დაარქვა. ანჩელოტის გეგმას კი ნესტა, გატუზო, ზეედორფი და კაკა ჰქვია.

მას შემდეგ, რაც პირველ სერიაში მოხდა, პროგნოზებს ყველა თავს არიდებს, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონი მარჩელო ლიპიც, მაგრამ ამ ნიჭიერი მწვრთნელის აზრი ასეთია: „მკითხაობას არ ვაპირებ, თუმც ერთი უეჭველია — „მილანი" ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც კარგადაა მომზადებული. ეს „მანჩესტერთან" ნახევარფინალურ მატჩებშიც გამოჩნდა. რაც შეეხება „ლივერპულს", ბენიტესი ის მწვრთნელია, თითოეული მოთამაშისგან მაქსიმუმის გამოწურვა რომ შეუძლია. განსაკუთრებით ისეთ შეხვედრებში, რომლებშიც მის გუნდს მეტოქე თითქოს ჯობნის. ის პრაქტიკული კაცია და წვრილმანებში საუცხოოდ ერკვევა. ბენიტესის დარი ტაქტიკოსი იშვიათია".



UNDER19 CHAMPIONSHIP UEFA UNDER 19 EUROPEAN CHAMPIONSHIP

# 19-წლამდელები ორი ტოპით და ოპტიმიზმით იწყებენ

## რატი წინამძღვრიშვილი: პორტუგალიას მოვუგებთ!



**დღეს** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიაში ევროშესარჩევის ელიტ-რაუნდს იწყებს. ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა თადარიგი დაიჭირა და 17 მაისს ჩავიდა ქალაქ დანდიში.

დღეს ჩვენები პორტუგალიელ თანატოლებს ეთამაშებიან, 25 მაისს მასპინძელ შოტლანდიას შეეტოქებიან, ჯგუფის ბოლო ტურში კი, 28 მაისს თურქეთთან ჯახი ელით.

ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გავა ფინალურ ეტაპზე, რომელსაც 16-27 ივლისს ავსტრია უმასპინძლებს. ფინალურზე თამაში კი უკვე გაინაღდეს გერმანიამ, საფრანგეთმა და რუსეთმა.

შოტლანდიაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც, რომელიც 29 მაისს უკვე ფრანკფურტში იქნება და ეროვნულ გუნდს ლიტვა-საფრანგეთთან მატჩებისთვის მოამზადებს.

ქართველ 19-წლამდელთა წამყვან ფორვარდ *რატი წინამძღვრიშვილს* შოტლანდიაში დავუკავშირდით და წინასამატჩო მზადებაზე ვკითხეთ...

— თითქმის ერთი კვირაა, რაც შოტლანდიაში ჩამოვედით და მშვენიერი პირობებიც დაგვახვედრეს. სამი დღის წინ მწვრთნელმა გუნდი ორად გაჰყო, რამდენიმე ადგილობრივი ფეხბურთელი დაგვიმატა და ორმხრივად ვითამაშეთ.

— ყველანი ჯანზე ხართ?

— თავდამსხმელ ვახტანგ ფანცხავას წელი სტკიოდა და არ ვიცი, შეძლებს თუ არა თამაშს. დანარჩენები არაფერს ვუჩივით.

— ტურნირს პორტუგალიასთან თამაშით იწყებთ, რომელიც, ამ ასაკში ტრადიციულ წარმატებებს თუ გავითვალისწინებთ, ჯგუფის მთავარი ფავორიტი უნდა იყოს.

— ჩვენ მოსაგებად გავალთ მინდორზე და მოვიგებთ კიდეც.

— რა გაძლევს ასეთი ოპტიმიზმის საბაბს?

— მართლაც კარგი ნაკრები გვყავს, რასაც თამაშის ხარისხითაც ვამტკიცებთ და შედეგითაც...

საქართველო — პორტუგალია პერთის „მაკდიამირდ პარკზე" ჩვენი დროით 19 საათზე დაიწყება, პარალელურად კი დანდიში შოტლანდია თურქეთს შეერკინება.

ცნობისთვის: პორტუგალიელი 19-წლამდელები 20 მაისს ჩავიდნენ შოტლანდიაში. მათ 18-კაციან სიაში ხუთ-ხუთი ფეხბურთელი „პორტუდან" და „სპორტინგიდანაა", ერთი კი ლეგიონერიც ჰყავთ — ესპანური „ვალენსიას" იაგო ფერნანდესი.

**ილია ნანოგაშვილი**



# ხვალ რუსთავში ოლიმპობაა

**რუსთავის** „ოლიმპს", საქართველოს მეხუთე ჩემპიონს თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", „ვიტ ჯორჯიასა" და ბოლნისის „სიონის" შემდეგ, საჩემპიონო თასისთვის ჯერ ხელი არ შეუვლია და ამას მოზეიმე ქვემოქართლელები ხვალ გააკეთებენ.

ქალაქის ხელისუფლება და კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის სახალხო დაჯილდოებას გეგმავს. 24 მაისს, 19 საათზე, რუსთავის მერიის წინ „ოლიმპის"ფეხბურთელებს საჩემპიონო მედლებს და თასს გადასცემენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გადაწყდა: თურქები

**ქართული** ფეხბურთის 17-წლიან ისტორიაში პირველად ხდება, რომ ეროვნული ეგიდით ჩატარებულ მატჩს უცხოელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

პროფლიგამ და ფეხბურთის ფედერაციამ „ამერი" — „ზესტაფონის" 26 მაისის თასის ფინალური მატჩისთვის უცხოელი მსაჯების მოწვევა განიზრახეს და დახმარება მეზობელ თურქებს სთხოვეს. გუშინ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა სამდივნომ თბილისში ფაქსით თანხმობა გამოგზავნა — ჩვენი მხარე მზადაა, ფინალური მატჩისთვის მსაჯები მოავლინოსო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ნერვების თამაში თამაშამდე

## ამერმა და ზესტაფონმა ტერიტორიები გაინაწილეს

**ბანალური** ფრაზით დავიწყოთ: ფეხბურთი მსაჯის ჩასტვენამდე კარგა ხნით ადრე იწყება. მით უმეტეს, თუ საქმე თასის ფინალთან გვაქვს. ოღონდ, ფეხბურთელთა მზადებაზე აქ სიტყვას არ შევაჩერებთ.

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში „ამერის" და „ზესტაფონის" წარმომადგენლები შეიკრიბნენ, მასპინძლობა კი პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა ნოდარ კაკულიამ, ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ შალამბერიძემ და ფინალის უსაფრთხოების ოფიცერმა გია ისიანმა გაწიეს.

განსახილველ-შესათანხმებელი საორგანიზაციო საკითხები კი იყო, მაგრამ გვარიანი კამათი გამოვიდა.

რომელი გუნდი რომელ გასახდელსა და სათადარიგოთა სკამს დაიკავებს, რომელი გუნდის ფანები რომელ ტრიბუნაზე დასხდებიან, ვინ რა ფორმით ითამაშებს — ზესტაფონელებმა ამერელებთან წინასწარი შეთანხმება ჩაშალეს და გუშინდელ სხდომაზე ახალი ვარიანტი წარადგინეს. დათმობა, ცხადია, არც „ამერმა" ისურვა და, რაკი შეთანხმება შეუძლებელი გახდა, საკითხების გადაჭრის ბოლო გზად წილისყრა დარჩა. გია ისიანის წინადადებით, არჩევანი ვისაც ამოუვიდოდა, ყველა საკითხი სათავისოდ უნდა გადაეწყვიტა.

ნოდარ კაკულიამ მონეტაც მოიმარჯვა, როცა ხალისიანი კითხვა გაჩნდა — მოდი, ჯერ იმას ვუყაროთ კენჭი, „არიოლს" ან „რეშკას" პირველი ვინ აირჩევსო.

საბოლოოდ კი არჩევან-არადანი ლოტოტრონით გათამაშდა. ორი ბურთულიდან ერთში ჩადებულ ქაღალდში „მასპინძელი" ეწერა, მეორეში — „სტუმარი". არჩევანის უფლება „მასპინძლის" ამომღებს ეძლეოდა. ლოტოტრონთან „ზესტაფონის" გენერალური დირექტორი დავით აბაშიძე მივიდა და „მასპინძელი" ამოიღო.

საბოლოოდ ასე დადგინდა: „ზესტაფონი" თეთრი მაისურებით ითამაშებს, „ამერი" კი ყვითლით. ზესტაფონელთა გულშემატკივრები აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, 25-ე, 26-ე და 27-ე სექტორებში დასხდებიან, „ამერის" გულშემატკივრებს კი დასავლეთის მე-10, მე-11 და მე-12 სექტორები ერგოთ.

ისიანის მოთხოვნით, „ზესტაფონის" ფანები სტადიონზე ბაზრობის მხრიდან უნდა შევიდნენ, ამერელები კი მუშტაიდის მხრიდან.

**ბოტე ბეჩელია**

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი
VS
ზესტაფონი
www.pfl.ge
GFF
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2, 3, 5 ლარი
მთავარი სპონსორი
ჯეოსელი GEOCELL
ოფიციალური სპონსორი
ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი
აქსისი
სპონსორები
BANK OF GEORGIA
I'm lovin' it
საინფორმაციო მხარდამჭერა
სარბიელი
ოლიმპი
106.9 FM FORTUNA ფორტუნა
11×11
24 Hours

### პოლონეთი

I ლიგა. XXIX ტური

| | | |
|---|---|---|
| არკა | 3:1 | ლეხი |
| ბელხატოვი | 1:2 | ვისლა |
| კრაკოვია | 5:0 | ლეჩნა |
| გურნიკი | 2:0 | პლოცკი |
| გროცლინი | 3:1 | პოგონი |
| ლოძი | 2:1 | კორონა |
| ოდრა | 1:2 | ლეგია |
| ზაგლები | 4:2 | ვიძევი |

### შვედეთი

ალსვენსკა. VII ტური

| | | |
|---|---|---|
| ბრომაპოიკარნა | 1:1 | ჰელსინგბორგი |
| ელფსბორგი | 3:1 | გიოტებორგი |

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა XXIX ტური

| | | |
|---|---|---|
| დიორი | 3:4 | მტკ |

### ამხანაგური მატჩები

ახალგაზრდულები (U-21)

| | | |
|---|---|---|
| ჰოლანდია | 0:2 | მაროკო |

იყიდება
6 000 კვ.მ. მიწის
ნაკვეთი ნუცუბიძის
IV მ/რ ახლოს,
სოფელ-აგარაკთან,
მუხათწყაროს .
გზის ნაპირზე.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 893 42-74-94

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზაფხულის ჩემპიონს ასაკი დააკლდა

## დუშან უჰრინმა გუნდიც გაუშვა და თვითონაც წავიდა



როცა ამ ინტერვიუს წაიკითხავთ, თბილისის „დინამოს" სახელოვანი ჩეხი მწვრთნელი დუშან უჰრინი უკვე სამშობლოში იქნება, სეზონის შემდეგ მან ფეხბურთელებიც დაითხოვა და თავადაც ისვენებს. გუნდი ორ-სამ კვირაში შეიკრიბება და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის და მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას დაიწყებს. წინა ჩემპიონატი კი, მოგეხსენებათ, „დინამომ" მეორე ადგილზე ჩაამთავრა. უჰრინის ხელმძღვანელობით „დინამოს" მეორე წრეში თამაში არ წაუგია, თუმცა თბილისელებს ლიდერთან ისეთი ჩამორჩენა ჰქონდათ, ჩემპიონობას ველარ შეწვდნენ... კმაყოფილია თუ არა „დინამოს" მწვრთნელი განვლილი სეზონით, რა პერსპექტივას ხედავს და რა არის საჭირო ეროვნული ჩემპიონატის დონის ასამაღლებლად — ამ და სხვა კითხვებით ჩეხეთში წასვლამდე მივმართეთ „დინამოს" ბევრისმნახველ და ევროპის 1996 წლის საუკეთესო მწვრთნელს...

— ჩემპიონები ვერ გავხდით და, ცხადია, უკმაყოფილო ვარ, ჩვენი ტრადიციებისა და ამბიციების მქონე გუნდს სხვა მიზანი არ ჰქონდა და სამწუხაროა, რომ პირველობა ვეღარ შევძელით — გვითხრა დუშან უჰრინმა — თუმცა იყო რამდენიმე პოზიტიური მომენტი და ეს ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. ჩემპიონატის მეორე წრის სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, „დინამომ" ჩემპიონ „ოლიმპს" ოთხით, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულ „ამერსა" და „ზესტაფონს" რვა-რვა ქულით აჯობა. მეორე წრეში გუნდს არ წაუგია და 13 მატჩიდან ფრე მხოლოდ ორჯერ ვითამაშეთ. გუნდმა ნაყოფიერად გამოიყენა ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი, კარგი ფეხბურთელებიც დავიმატეთ, მაგრამ მანამდე ღაკარგული ქულები ბოლომდე ვერ ავინაზღაურეთ, ჩემპიონს სულ ქულით ჩამოვრჩით.

— ჩემპიონის ვინაობა კი ალბათ სწორედ „ოლიმპი" — „დინამოს" რუსთავულ მატჩში გაირკვა. ის თამაში „დინამომ" ვერ მოიგო. ბევრის აზრით, თქვენ არ გარისკეთ, თორემ გუნდი იმ მატჩს მოიგებდა. როგორ გაიხსენებთ რუსთავის შეხვედრას, ჩემპიონობისთვის რატომ არ გარისკეთ?

— ამ მატჩში „დინამოს" ფსიქოლოგიური პრობლემა ჰქონდა. გუნდის შეტევის ლიდერები, თავადაც ხედავთ, სანდრო იაშვილი, გიორგი მერებაშვილი და სანდრო კობახიძე არიან. ერთი 21 წლისაა, მეორე — 20-ის, მესამე — 19-ის, ასეთი პრინციპული, გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი მატჩი კი მათთვის პირველი იყო. თამაშის შემდეგ კობახიძე გამომიტყდა, რომ მან სავსე ტრიბუნების წინ პირველად ითამაშა. თუ დააკვირდით, ამ მატჩში გამორჩეულები ისევ გამოცდილი ფეხბურთელები იყვნენ — დილმელაშვილი, ზელიჩი, კრშკო... ასეთი მატჩებისას დიდი ფასი აქვთ გამოცდილ ფეხბურთელებს, „დინამოს" კი ასეთი ბევრი არ ჰყავს. ისიც სათქმელია, რომ ჩემპიონატის მეორე წრის მთელმა სიმძიმემ, ფაქტობრივად, 13-14 ფეხბურთელის მხრებზე გადაიარა.

— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა: „დინამო" თქვენს ხელში ერთი და იმავე შემადგენლობით და განლაგებით რატომ თამაშობდა?

— ფეხბურთელთა რაოდენობა სხვა თემაა, აი, განლაგება-ტაქტიკაზე კი გეტყვით, რომ ცვლილებებს რამდენიმე ფაქტორის გამო ვერიდებოდი. მაგალითად, ბურთის გაგორების ნაცვლად ბიჭებს სხვა დავალებას იმიტომ ვაძლევდი, რომ უხარისხო მოედნებზე ეს შეუძლებელი იქნებოდა. ან კიდევ, რატომ არ უნდა გამოგვეყენებინა სანდრო იაშვილის პლუსი, ის თავით ჩინებულად თამაშობს და ბევრი გოლიც ამის შედეგად გავიტანეთ. მოკლედ, ტაქტიკა-განლაგების ცვლა სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული და ვცდილობდით, კონკრეტულ ეტაპზე საუკეთესო ვარიანტი აგვერჩია.

— ამ გუნდით დუშან უჰრინს საერთაშორისო სარბიელზე რისი იმედი აქვს?

— ყველა შემთხვევაში გუნდის ეს შემადგენლობაც უნდა შევინარჩუნოთ და რამდენიმე ფეხბურთელიც დავიმატოთ. ერთი, ალბათ, გიორგი შაშიაშვილი დაგვტოვებს, რომელიც „ჩერნომორეციდან" იჯარით გვყავდა. უეფას თასზე კი „დინამო" თავს ნამდვილად არ შეირცხვენს და ღირსეულად ითამაშებს. დანარჩენს მერე გეტყვით. ევროტურნირამდე ჯერ მოსამზადებელი პერიოდია.

— კონკრეტულად რომელ პოზიციაზე სჭირდება „დინამოს" გაძლიერება?

— „დინამოს" სჭირდება ერთი მცველი, ერთი ნახევარმცველი და ერთი თავდამსხმელი.

— უცხოელების დამატებას აპირებთ?

— სასურველ ფეხბურთელთა სიაში უცხოელებიც არიან და ქართველებიც.

— ამ ზამთარს დამატებულ უცხოელებზე რას იტყვით?

— ვფიქრობ, რომ ნედ ზელიჩმა და მილოშ კრშკომ თავი საუკეთესოდ წარმოაჩინეს, ხოლო ილია სპასოევიჩი ახალგაზრდაა და დღითიდღე უმატებს, ამას წინათ თავისი ქვეყნის, ჩერნიგორიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახეს. ნედ ზელიჩი ნაღდი პროფესიონალია, გამოცდილია და გონივრულად თამაშობს, მილოშ კრშკოს კი სლოვაკეთის ნაკრების მწვრთნელ იან კოციანთან აუცილებლად გავუწევ რეკომენდაციას, არა მგონია, სლოვაკეთში ბევრი იყოს კრშკოზე საიმედო მცველი. მოკლედ, ჩემი იმედები სამივე უცხოელმა გაამართლა.

— სანდრო იაშვილზე ცალკე ვთქვათ. თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ ის მზად არის?

— დიახ, მიმაჩნია, რომ სანდრო უკვე იმსახურებს ეროვნულ გუნდში გამოძახებას, მას აუცილებლად უნდა მიეცეს ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება, ის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა და, ალბათ ბევრი დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ მთლიანად ჩემპიონატშიც საუკეთესო იყო. სანდრო იაშვილს, ისევე, როგორც კიდევ რამდენიმე დინამოელს, თვალსაჩინო პროგრესი აქვს.

— როგორ ფიქრობთ, ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში გუნდები ლოგიკურად განაწილდნენ? ცხრილში ბოლომდე აისახება გუნდებს შორის რეალური სხვაობა?

— უხერხული კითხვაა, ვერ გიპასუხებთ, ცხრილში ყველაფერი ჩანს და არავის არაფერი მოუგონია, ანუ ის ლოგიკურია.

— საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირებაზე რას იტყვით?

— მიმაჩნია, რომ უმაღლეს ლიგაში იმდენი გუნდი უნდა თამაშობდეს, რამდენსაც რეალურად აქვს საამისო ფინანსური საშუალება. სხვანაირად გუნდის უმაღლეს ლიგაში ყოფნას აზრი არ აქვს.

— თითქმის რვა თვეა, რაც საქართველოში მუშაობთ. რა აკლია ჩვენს ჩემპიონატს ყველაზე მეტად?

— მაყურებელი, თუნდაც სანახევროდ შევსებული ტრიბუნები. თუმცა აქ მეორე მხარეცაა, ალბათ ქომაგი იტყვის, რომ ფეხბურთია უხარისხო. არადა, როცა ტრიბუნებზე ხალხია, ფეხბურთელიც სხვანაირადაა მოტივირებული. მონდომებულია და შესაძლებლობების ზღვარზე თამაშობს. ასევე გამოსაკეთებელია მოედნებიც, ძალიან ძნელია უხარისხო საფარზე ხარისხიანი ფეხბურთის თამაში.

— ერთიც, მოსამზადებელ პერიოდში რა გეგმები გაქვთ?

— შვებულების შემდეგ ბაზაზე შევიკრიბებით, 16-დან 27 ივნისამდე კი მოლდოვას გავემგზავრებით, კიშინიოვში, „ნისტრუს" ბაზაზე დავბინავდებით და საუკეთესო ადგილობრივ გუნდებთან ვითამაშებთ. მომდევნო შეკრება გერმანიაში დავგეგმეთ, სადაც ჩვენი მეტოქეები ბუნდესლიგისა და მეორე ბუნდესლიგის გუნდები უნდა იყვნენ. ძალიან მაინტერესებს, „დინამო" ასეთი დონის გუნდებთან მატჩებში ვნახო. თანაც ახალგაზრდული გუნდისთვის ეს გამოცდილების მიღების კარგი საშუალებაა. გერმანიის შემდეგ კი უეფას თასის გათამაშებაც დაიწყება და... იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.



დუშან უჰრინი კლაუს ტოპმიოლერს სანდრო იაშვილს ურჩევს

**ქობა ინასარიძე**



# კალაძე შევჩენკოს ხურდაში

**კიდევ** ერთი ამბავი კახა კალაძის „ჩელსიში" შესაძლო ტრანსფერის თაობაზე.

ინგლისური „სანი" იუწყება, რომ „ჩელსის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო კლუბის პატრონ რომან აბრამოვიჩს შეხვდა და მისგან „მილანში" დაბრუნების ნებართვა მიიღო. „სანისვე" ცნობით, „მილანი" თანახმაა, შევჩენკოს სანაცვლოდ „ჩელსის" 12 მილიონი გირვანქა გადაუხადოს და ზედაც ქართველი მცველი კახა კალაძე დაამატოს. ამბობენ, რომ შევჩენკო ახლა ათენშია, ჩემპიონთა ლიგის ფინალს დაესწრება და „მილანის" ხელმძღვანელობასაც იქ დაელაპარაკება.

ჯერჯერობით თავად შევჩენკოს „ჩელსიდან" წასვლასა და მით უმეტეს „მილანში" დაბრუნებაზე არაფერი უთქვამს, მხოლოდ ამერიკულ ლიგას ახსენებს ხოლმე და ამბობს, სიამოვნებით ვითამაშებდი ამერიკაში, იქ ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა და მსურს, ამ საქმეში ჩემი წვლილიც იყოსო. შეგახსენებთ, შევჩენკოს მეუღლე ამერიკელი მოდელია და სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნაც იყო, უკრაინელ ფორვარდს იტალიური „მილანი" ინგლისურ „ჩელსიზე" გაეცვალა. ახლა კი, შესაძლოა, ცოლი ქმარს ამერიკაში წასვლაზეც უჩხიკინებდეს.

კახა კალაძე კი ამჟამად ათენშია და ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი ფინალისთვის ემზადება. ისე, არა გვგონია, კალაძე ხურდაში მისაყოლებელი ფეხბურთელი იყოს და არც იმას ვფიქრობთ, რომ მომავალ სეზონს ჩვენიანი „ჩელსში" შეხვდება.

**ქობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპ-სიურპრიზი გიორგი ონიანისთვის



**რუსთავის „ოლიმპის" მცველი გიორგი ონიანი ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. კლაუს ტოპმიოლერის სიაში ჩვენი ჩემპიონატიდან სამი ფეხბურთელია, რომელთაგან გრიგოლ ჭანტურია და გიორგი შაშიაშვილი ახალი სახეები სულაც არ არიან, ონიანი კი ოფიციალური მატჩისთვის პირველად გამოიძახეს ეროვნულ გუნდში. გიორგის ნაღდად წარმატებული სეზონი ჰქონდა — „ოლიმპი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თანაც ყველაზე ცოტა ბურთი გაუშვა...**

— ნაკრებში ალბანეთთან ამხანაგური მატჩისასაც გამოგიძახეს, თუმც მაშინ არ გითამაშია. ახლა თუ ელოდი ნაკრებში გამოძახებას?

— სიმართლე გითხრათ, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. შარშან ალბანეთთან არ მითამაშია, მაგრამ რაღაც იმედი მქონდა, რომ კვლავ მოვხვდებოდი ეროვნულ გუნდში...

— რუსთავის „ოლიმპი" საქართველოს ახალი ჩემპიონია. წარმატების უმთავრეს ფაქტორად რას მიიჩნევ?

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კლუბი ახალი შექმნილია, საკმაოდ კარგად შევთამაშდით. ძალიან მეგობრული გუნდი ვართ, ჩვენთან დაჯგუფებები და მისთანები არ არსებობს. გიორგი კიკნაძემ „ოლიმპის" ჩემპიონობაში დიდი წვლილი შეიტანა, მან გუნდში კარგი სიტუაცია დატოვა და რეზო ძოძუაშვილმაც საქმე ბოლომდე მიიყვანა.

— ჩემპიონები კი გახდით, მაგრამ, შენი აზრით, ამ გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში ღირსეულად გამოსვლა თუ შეუძლია?

— მთავარია, კარგად მოვემზადოთ და შეკრება უცხოეთში გავიაროთ. აუცილებელია ნორმალურ გუნდებთან ამხანაგური თამაშები. ჩემპიონთა ლიგაში უსწრაფესად თამაშობენ და ჩვენც ამაზე უნდა ვიმუშავოთ. „ოლიმპი" პერსპექტიული ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და იმედი მაქვს, თავს არ შევირცხვენთ.

— როგორ ფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატის დონე ამაღლდა?

— 2005 წელს „ლოკომოტივში" თასი რომ მოვიგეთ, მაშინ უფრო კარგი პირველობა გვქონდა, ათგუნდიანი ჩემპიონატი უფრო საინტერესოდ მიმდინარეობდა. ახლაც იყო რამდენიმე კარგი მატჩი, მაგრამ წინ მივდივართ-მეთქი, ვერ ვიტყვი.

— ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებად ვის თვლი?

— თავდამსხმელებიდან იაშვილი, გეწაძე, დვალიშვილი და იონანიძე იყვნენ საუკეთესოები. სხვა ამპლუებშიც არიან კარგი ფეხბურთელები, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— უცხოეთიდან მიწვევა არ გქონია?

— რამდენიმე კლუბიდან ახლაც მაქვს წინადადებები, მაგრამ კონკრეტულს ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერი სანაკრებო თამაშების შემდეგ გაირკვევა.

**ნუკრი ლოლაძე**

# მიხეილ აშვეთია: უდისციპლინო არ ვარ, მე გული მეტკინა

**გერმანიის მეორე ბუნდესლიგა მიხეილ აშვეთიასა და გიორგი ლომაიასთვის ამოსუნთქვით დასრულდა. იენის „კარლ ცაისი" რომ ლიგაში დარჩა, ჩვენებურების დამსახურებაცაა — ლომაია სტაბილურად იდგა კარში, აშვეთიამ კი 12 მატჩში ხუთი ბურთი გაიტანა. ორივე საქართველოს ნაკრების წევრია, თუმც ლიტვა-საფრანგეთთან მატჩებისთვის კლაუს ტოპმიოლერმა აშვეთიას არ უხმო... გუშინ მას გერმანიაში შევეხმიანეთ...**

— შენი გამოუძახებლობის მიზეზად კლაუს ტოპმიოლერმა უდისციპლინობა დაასახელა...

— არანაირი დისციპლინა არ დამირღვევია, უბრალოდ, გულისტკივილი გამოვთქვი, თუ ფარერებთანაც არ მათამაშებთ, მაშინ აქ ჩამოსვლას რა აზრი აქვს-მეთქი. მე ფეხბურთელი ვარ და მოედანზე ყოფნა, ბოლომდე იქ დახარჯვა მინდა, მით უმეტეს, როცა საქმე ეროვნულ გუნდს ეხება.

— იცოდი, რომ ლიტვა-საფრანგეთთან არ გამოგიძახებდნენ?

— არა, არავის არაფერი უთქვამს, დღეს გავიგე, რომ თურმე უდისციპლინობისთვის არ გამოვუძახებივარ. სხვა მიზეზს კიდევ გავიგებდი, უდისციპლინო ფეხბურთელი კი ნამდვილად არ ვარ.

— საკლუბო ამბებზეც ვთქვათ: სეზონი დასრულდა და ჯერ ისევ გერმანიაში ხარ, კონტრაქტის გაგრძელებას ხომ არ აპირებ?

— ლაპარაკები არის, თუმც საბოლოოდ რა იქნება, არ ვიცი. სერიოზულად უნდათ, რომ დავრჩე, მე კი ჯერ ვფიქრობ.

— სხვა გერმანული კლუბები არ დაინტერესებულან შენით?

— არის წინადადებები, თუმც მეორე ბუნდესლიგაში თითქმის ყველგან თანაბარი პირობებია, ამიტომ, თუ დავრჩი, ისევ „კარლ ცაისში", შეჩვევის ამბავია.

— თუ არა, გეზი საით გაქვს?

— ალბათ ისევ რუსეთი.

— კონკრეტული არაფერია?

— ჯერჯერობით იქაც სავარაუდო ვარიანტებია.

— ლომაიას საქმეც ასეა?

— გერმანიაში კი, მაგრამ რუსეთში თუ წავედით, ჩვენი გზები ალბათ გაიყოფა. ისე, ძალიან უნდათ ორივეს დატოვება. გიორგი კარგად იდგა კარში, ხოლო გადამწყვეტ მატჩში სულაც საუკეთესოდ დაასახელეს. მე მხოლოდ მეორე წრე ვითამაშე, ისიც არასრულად და „კარლ ცაისის" მეგოლეებში მეორე ვიყავი. ალბათ, რამდენიმე ხანს აქ დავრჩებით და საბოლოო პასუხს მივიღებთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# უკრაინა უპირო ხალხს გადაეყარა

**საქართველოს** ნაკრების მეტოქეს, უკრაინის ნაკრებს 6 ივნისს ახალზელანდიელებთან ამხანაგური მატჩი ჰქონდა დაგეგმილი და... გუშინ უარი მიიღო. კუნძულელებმა მიზეზად საკადრო პრობლემები დაასახელეს.

საქმე ისაა, რომ ოკეანეთელები კიევში ძირითადის რვა ფეხბურთელის ჩაყვანას ვერ ახერხებენ და გადაწყვიტეს, საერთოდ არ ეთამაშათ.

6 ივნისი უეფას კალენდარული დღეა და უკრაინელებს მისი საპრაქტიკოდ გამოყენება სურდათ. ახლა კი იმაზე ფიქრობენ, შეძლებენ თუ არა დარჩენილ მცირე ხანში სასურველი მეტოქის მოძებნას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დაარდენმა დემეს დარდი აჰყარა

**კო ადრიანსეს** წასვლამ და მის ნაცვლად ჯოს დაარდენის მოსვლამ გიორგი დემეტრაძეს არგო. უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში კიევის „არსენალთან" ჩვენებური მოედანზე 62-ე წუთზე შევიდა და, როგორც უკრაინული ვებგვერდები წერენ, დონეცკის „მეტალურგის" გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო. დემემ ბლომად სახიფათო პასები არიგა, თუმც თანაგუნდელებმა მხოლოდ ერთხელ ივარგეს.



„დემეტრაძეს დიდი ხანია, არ ეთამაშა მაღალ დონეზე და კონდიციები დაკარგული ჰქონდა. ბოლო ორიოსამი დღე ვაკვირდებოდი და დავინახე, რომ იგი „გაცოცხლდა", მატჩამდე მე და გიორგიმ ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ 25-30 წუთი თამაშს შეძლებდა. როგორც ნახეთ, მისმა საშემსრულებლო ოსტატობამ გარკვეული როლი ითამაშა გუნდის გამარჯვებაში" — თქვა ნამატჩევს დაარდენმა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჯოს დაარდენი ქართველებისთვის მთლად თბილად გასახსენებელი არ არის. 1982 წელს თასების თასის ნახევარფინალურ მატჩში თბილისის „დინამოს" ორივე შეხვედრაში გამარჯვების გოლები გაუტანა, როდესაც „სტანდარდში" თამაშობდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ვან დერ სარი სარივით ერჭო

## ფერგიუსონმა ზოგს თითი დაუქნია, ზოგს ხელი...

**ინგლისის** ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი მომავალ სეზონამდე გუნდს, ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელით გადაახალისებს.

სავარაუდოდ, ერთ-ერთი პრიველი, ვინც „ოლდ ტრაფორდზე“ გადაბარგდება, მიუნხენის „ბაიერნის“ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსია. „წითელი ეშმაკები“ ამ ტრანსფერს დიდხანს ამზადებდნენ და სადაცაა, მოაკვარახჭინებენ.

ბრიტანული პრესის ცნობით, ფერგიუსონს ძალიან სურდა „ტოტენჰემის“ ბულგარელი დიმიტარ ბერბატოვის ხელში ჩაგდება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ახლა ლონდონელია ახალგაზრდა ვარკვლავ აარონ ლენონზე გადაერთო, რომელიც შოტლანდიელ სპეციალისტს ვეტერანი რაიან გიგზის შემცვლელად სჭირდება.

სერ ალექსის სიაში არიან „საუთჰემპტონის“ მცველი გარეთ ბერი და ლისაბონის „სპორტინგის“ ბრაზილიელი რობერტო ნანიც.

ამბობენ, „მანჩესტერის“ პირველი მეკარე მომავალი სეზონიდან ბენ ფოსტერი იქნებაო. ახალგაზრდა და ნიჭიერმა გოლკიპერმა ეს სეზონი იჯარით „უოტფორდში“ გაატარა და მშვენივრად გამოიყურებოდა. გავრცელებული ცნობით, ფერგიუსონი და კლუბის სხვა წევრები ვეტერანი ჰოლანდიელის, ედვინ ვან დერ სარის ბოლოდროინდელი თამაშით კმაყოფილნი არიან და რამდენიმე დღის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში დიდიე დროგბას გადამწყვეტ გოლსაც მას აბრალებენ, კარი დროულად არ დატოვაო. „წითელი ეშმაკები“ თავიანთ კიდევ ერთ მეკარეს, პოლონელ ტომაშ კუშჩაკს, ალბათ, „სანდერლენდში“ გაანათხოვრებენ.

„მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წამსვლელთა სავარაუდო სია კი ასე გამოიყურება — არგენტინელი გაბრიელ ჰაინცე, ფრანგები, მიკაელ სილვესტრი და ლუი საა.

ჰაინცეს უკვე მრავალი მსურველი ჰყავს, ესპანური გრანდებისა და ტურინის „იუვენტუსის“ თამადობით. არგენტინელ მცველს საკუთარი თავის გამოსყიდვა ორი წლის ხელფასის, ანუ დაახლოებით 5,2 მილიონი გირვანქის საფასურად შეუძლია, რის მერეც თავისუფალი აგენტის შეეძლება სასურველ კლუბში გადასვლა.

ცხადია, რეალურად ამ თანხას „მანჩესტერს“ სწორედ ის „სასურველი კლუბი“ გადაუხდის და არა ჰაინცე.

მსურველები ჰყავს მანჩესტერელთა კიდევ ერთ გარემარბს, პატრის ევრასაც. „ბარსელონას“ იგი ვეტერან ჯოვანი ვარ ბრონკჰორსტის შემცვლელად უნდა, თუმცა „მანჩესტერი“ ევრას ალბათ არ გაუშვებს, რადგან მან ჰაინცეს მაგივრობა უნდა გასწიოს.

**კოკი კანდელაკი**

# ტიმო ჰილდებრანდი ივნისში გადამურდება



**გერმანიის** ჩემპიონ „შტუტგარტის“ მეკარე ტიმო ჰილდებრანდი ესპანურ „ვალენსიაში“ გადადის.

28 წლის ჰილდებრანდს ხუთჯერ უთამაშია გერმანიის ნაკრებში „შტუტგარტში“ კი 1995 წლიდანაა. იგი „ვალენსიასთან“ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და იქიდან შეეცდება ეროვნულ გუნდში გაპირველებას, სადაც ჯერჯერობით იენს ლემანი ბატონობს.

„ღამურების“ გოლკიპერი სანტიაგო კანისარესი 37-ისაა მოიყარა და სეზონის ბოლოს მიდის. ჰილდებრანდს კი თავის კლუბთან კონტრაქტი ივნისში ეწურება.

„ის „ვალენსიას“ მეკარე გახდება, მაგრამ ოფიციალურად ჯერ ამის გამოცხადებას არ ვჩქარობთ“ — თქვა „შტუტგარტის“ გენერალურმა მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა.

**გაჟა ხუციშვილი**

## ფულის ლიგა

**„მასტერკარდის“** მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებულის ბიუჯეტი, შესაძლოა, 100 მილიონი ევროთი შეივსოს. შემოსავლების წყაროა სპონსორები, ტელეტრანსლაციები, ფეხბურთელების სავარაუდო გაძვირება-გაყიდვა და მომავალ სეზონში ბილეთების რეალიზაცია.

„მასტერკარდმა“ ისიც გაარკვია, რომ ჩემპიონთა ლიგის მომგები კლუბის ქალაქიც გამდიდრდება.

ორი წლის წინ „ლივერპულის“ ბიუჯეტი 70 მილიონი ევროთი გამდიდრდა, ხოლო ქალაქ პორტუს ხაზინაში 2004 წელს 12 მილიონი ევრო შევიდა, როცა „პორტუმ“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

## სუაზო ტოტიზე ოცნებობს

**„კალიარის“** ფორვარდ დავიდ სუაზოს „რომაში“ გადასვლა გადაწყვეტილიაო.

ჰონდურასელმა რვა წელი გაატარა სარდინიულ კლუბში. ამ სეზონში 14 გოლი გაიტანა და გუნდის შეცვლა სურს. ბოლო, მე-14 გოლი სწორედ „რომასთან“ შეაგდო.

„ინტერის“ პატრონმა მასიმო მორატიმ სუაზოს ტრანსფერს მონაჩმახი უწოდა, ჰონდურასელმა კი „რომასთან“ მატჩის შემდეგ თქვა:

„ვფიქრობ, რომ ლუჩანო სპალეტის გუნდში კარგად ჩავეწერები. ფრანჩესკო ტოტისთან თამაშზე ვოცნებობ. „კალიარისთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს, მაგრამ სხვა კლუბში გადასვლის დრო მოვიდა“.

## დარჩი, ლუიშ!

**რობერტო** მანჩინი იმედოვნებს, რომ ლუიშ ფიგუ „ინტერიდან“ წასვლას გადაიფიქრებს, რადგან გუნდს კიდევ გამოადგება.

34 წლის პორტუგალიელმა არაერთხელ თქვა, სეზონის ბოლოს „ინტერს“ დავტოვებო. მას ყატარული კლუბი ეპატიჟება და გვარიან ფულსაც სთავაზობს.

— ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ფიგუ დარჩება. კვლავაც კარგ ფორმაშია და „ინტერს“ მომავალ სეზონშიც წაადგება მისი გამოცდილება — თქვა მანჩინიმ.

პორტუგალიელმა კი თქვა გადაწყვეტილებას აღარ შევცვლიო.

„დარწმუნებული ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე — თქვა ფიგუმ „კონტროკამპოსთან“ ინტერვიუში — „ალ იტიჰადში“ ექვსი თვე დავრჩები და თუ არ მომეწონა, წამოვალ. ამიტომ ვარჩიე ყატარული კლუბი“.

## ემერსონის დაბრუნება იტალიაში

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, ემერსონი მადრიდის „რეალიდან“, შესაძლოა, „მილანში“ აღმოჩნდეს. მილანელებსა და ბრაზილიელი ფეხბურთელის აგენტს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს.

ემერსონი პრიმერადივიზიონს, „რეალს“ და იქაურ ფანებს ვერ შეეგუა და იტალიაში დაბრუნებას ლამობს.

## გრძელვადიანი ადებაიორი

**ლონდონის** „არსენალის“ ტოგოელმა ფორვარდმა ემანუელ ადებაიორმა კონტრაქტი გააგრძელა, მაგრამ კლუბმა არ გაამხილა, თუ რამდენწლიანია ახალი ხელშეკრულება.

ადებაიორთან კონტრაქტის გახანგრძლივებას კლუბი ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდა, სანამ ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დინი წავიდოდა, მაგრამ მისმა წასვლამ „მეთოფეებში“ ვითარება არია და ამიტომაც მივიდა აქამდე ტოგოელის ამბავი.

აფრიკელი ფორვარდი „არსენალში“ 2006-ის იანვარში „მონაკოდთან“ გადავიდა და 57 მატჩში 16 გოლი შეაგდო.

## კუშჩაკი თხოვდება

**„დეილი მირორის“** ცნობით, „მანჩესტერი“ ტომაშ კუშჩაკის განათხოვრებას აპირებს. პოლონელი მეკარე შარშან მიიყვანეს გუნდში, „არსენალთან“ მატჩში პენალტიც აიღო და მთლიანობაშიც კარგად ითამაშა, მაგრამ ჯერ კიდევ უნდა გაიზარდოს.

„მანჩესტერს“ კი დაუბრუნდება „უოტფორდში“ გაქირავებული ბენ ფოსტერი.

## სიკვდილი მოზამბიკში

**საზარელი** ამბავი მოხდა მოზამბიკში. „ფეროვიარიოს“ ქომაგს თავისი გუნდის გოლი გაუხარდა და ისე ზეიმობდა, რომ „ლიჩინგის“ ველურმა გულშემატკივრებმა სიხარული არ შეარგეს.

ათეულობით ველური ლიჩინგელი გახარებულ ბიჭს დაესია და ცემაში მოკლა.

## ფაქსი მოვიდა

**„მანჩესტერ იუნაიტედს“** იუვენტუსელი რაფაელ პალადინოს ყიდვა უნდა. „ტუტოსპორტის“ ცნობით, შაბათს ტურინული კლუბის ოფისში ფაქსი მივიდა და ინგლისელები მოლაპარაკების დაწყებას სთავაზობენ.

იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდს „მანჩესტერი“ უკვე სამი წელია, აკვირდება. „იუვეს“ კი არ სურს ნიჭიერი ფეხბურთელის გაშვება, რომლის სანაცვლოდაც 13 მილიონი გირვანქას აძლევენ.

**გაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

VEGA SLOT POKER CLUB

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას

წარმოგიდგენთ VEGA SLOT




CHAMPIONS LEAGUE

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007 ფინალი

CHAMPIONS LEAGUE

# მილანი — ლივერპული A, B, C და D?



AFP

1. ნელსონ დიდა (33 წლის) — 2003 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსთან" სამი პენალტი მოიგერია და გმირი გახდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ინტერის" ფანებმა მხარში მაშხალით დაჭრეს, ძველებურად ველარ თამაშობს. ამ სეზონში მის გაყიდვაზე ლაპარაკობდნენ, თუმც გადაიფიქრეს.

44. მასიმო ოდო (30) — მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც „მილანში" იანვარში გადავიდა „ლაციოდან" და მობერებული კაფუს ადგილი დაიკავა მარჯვენა მცველის პოზიციაზე. ერთი-ერთზე კარგად უმკლავდება ფორვარდებს და საგოლე პასებიც ეხერხება.

13. ალესანდრო ნესტა (31) — სეზონის პირველ ნახევარში საზარდულის ტრავმამ ფორმიდან ამოაგდო, მაგრამ გაზაფხულზე მოყოჩაღდა და დაცვას ფეხი უმალ დაატყო.

3. პაოლო მალდინი (38) — თუ მუხლის ტკივილმა გაუარა და ითამაშა, ეს მისთვის ჩემპიონთა თასის მერვე ფინალი იქნება და ფრანსისკო ხენტოს რეკორდს გაიმეორებს. ასაკის გამო ადრინდელივით სწრაფი ველარაა, მაგრამ პოზიციის შერჩევაში პროფესორია.

18. მარეკ იანკულოვსკი (30) — „უდინეზეში" მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა, მაგრამ „მილანში" გადასვლის შემდეგ ჩამოამცველეს და ეს საქმეც კარგად გამოსდის.

8. ჯენარო გატუზო (29) — ალბათ ერთადერთი მილანელი, რომელსაც უფლება აქვს, კარლო ანჩელოტის ლოყაზე ხელები უტყაპუნოს.

21. ანდრეა პირლო (28) — ფუტკარივით მშრომელი. თითქოს არ ჩანს მოედანზე, მაგრამ ჩანს მისი საგოლე პასები და საჯარიმო დარტყმები.

23. მასიმო ამბროზინი (29) — კარიერის დიდი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა და შეცვლებზე შესვლით, შესაძლოა, რეკორდსმენიც კი იყოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც კაკამ წინ წაიწია, ძირითადში ამბროზინიც გამოჩნდა. ამ სეზონში „მილანმა" რამდენჯერმე მისი გოლებით მოიგო.

10. კლარენს ზეედორფი (31) — ჩემპიონთა თასი სამჯერ მოიგოა: „აიაქსში" (1995), „რეალში" (1998) და „მილანში" (2003).

22. კაკა (25) — საუცხოო სეზონი აქვს და „ოქროს ბურთის" კანდიდატია. ჩემპიონთა ლიგაში უკვე 10 გოლი გაიტანა.

11. ალბერტო ჯილარდინო (24) — ჯერჯერობით ვერ თამაშობს ისე, რისთვისაც „პარმადან" იყიდეს და ევებ დღეს ათენში მაინც ივარგოს.

**23 მაისი. ათენი**
**„ოლიმპიური". 22:45 საათი**
**მილანი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი)**
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**დისკვალიფიცირებულნი:**
მილანი: არავინ; ლივერპული: არავინ

**ევროპული ურთიერთშეხვედრები:**

25.05.2005 ჩემპიონთა ლიგა ფინალი ლივერპული — მილანი 3:3დ.დ.(პენ.3:2, 3:3)

**„მილანის" გზა ფინალამდე:**

| | |
|---|---|
| საკვალიფიკაციო ეტაპი | მილანი — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 1:0, 2:1 |
| ჯგუფური ეტაპი | მილანი — აეკ (საბერძნეთი) 3:0, 0:1 |
| ჯგუფური ეტაპი | ლილი (საფრანგეთი) — მილანი 0:0, 2:0 |
| ჯგუფური ეტაპი | ანდერლეხტი (ბელგია) — მილანი 0:1, 1:4 |
| მერვედფინალი | სელტიკი (შოტლანდია) — მილანი 0:0, 0:1დ.დ.(0:0) |
| მეოთხედფინალი | მილანი — ბაიერნი (გერმანია) 2:2, 2:0 |
| ნახევარფინალი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — მილანი 3:2, 0:3 |

**„ლივერპულის" გზა ფინალამდე:**

| | |
|---|---|
| საკვალიფიკაციო ეტაპი | ლივერპული — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 2:1, 1:1 |
| ჯგუფური ეტაპი | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ლივერპული 0:0, 0:2 |
| ჯგუფური ეტაპი | ლივერპული — გალათასარაი (თურქეთი) 3:2, 2:3 |
| ჯგუფური ეტაპი | ბორდო (საფრანგეთი) — ლივერპული 0:1, 0:3 |
| მერვედფინალი | ბარსელონა (ესპანეთი) — ლივერპული 1:2, 1:0 |
| მეოთხედფინალი | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ლივერპული 0:3, 0:1 |
| ნახევარფინალი | ჩელსი (ინგლისი) — ლივერპული 1:0, 0:1დ.დ. (პენ.1:4, 0:1) |

**„მილანი" ჩემპიონთა თასის ფინალებში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.05. 1958 | ბრიუსელი | რეალი (ესპანეთი) — მილანი | 3:2დ.დ.(2:2) |
| 22.05.1963 | ლონდონი | მილანი — ბენფიკა (პორტუგალია) | 2:1 |
| 28.05. 1969 | მადრიდი | მილანი — აიაქსი (ჰოლანდია) | 4:1 |
| 24.05. 1989 | ბარსელონა | მილანი — სტიაუა (რუმინეთი) | 4:0 |
| 23.05. 1990 | ვენა | მილანი — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 26.05. 1993 | მიუნხენი | მარსელი (საფრანგეთი) — მილანი | 1:0 |
| 18.05. 1994 | ათენი | მილანი — ბარსელონა (ესპანეთი) | 4:0 |
| 24.05. 1995 | ვენა | აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი | 1:0 |
| 28.05. 2003 | მანჩესტერი | მილანი — იუვენტუსი (იტალია) | 0:0დ.დ.(პენ.3:2) |
| 25.05. 2005 | სტამბოლი | ლივერპული (ინგლისი) — მილანი | 3:3დ.დ.(პენ.3:2, 3:3) |

**„ლივერპული" ჩემპიონთა თასის ფინალებში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.05. 1977 | რომი | ლივერპული — მიონხენგლადბახი (გფრ) | 3:1 |
| 10.05.1978 | ლონდონი | ლივერპული — ბრიუგე (ბელგია) | 1:0 |
| 27.05. 1981 | პარიზი | ლივერპული — რეალი (ესპანეთი) | 1:0 |
| 30.05. 1984 | რომი | ლივერპული — რომა (იტალია) | 1:1დ.დ.(პენ.4:2, 1:1) |
| 29.05. 1985 | ბრიუსელი | იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული | 1:0 |
| 25.05. 2005 | სტამბოლი | ლივერპული — მილანი (იტალია) | 3:3დ.დ.(პენ.3:2, 3:3) |

„ვფიქრობ, რომ ორივე გუნდი კარგად დაბალანსებულია — თქვა კარლო ანჩელოტიმ — ორი წლის წინ „მილანი" დაღლილობის გამო დამარცხდა, ახლა კი ფეხბურთელები უფრო საღად არიან. „ლივერპული" დიდად არ შეცვლილა. კალჩოპოლის სკანდალის გათვალისწინებით, ფინალში ჩვენი გასვლა სასწაულია...

...ორივე გუნდი თანაბრადაა წნეხის ქვეშ, რადგან მსოფლიო ორ წელიწადში მეორედ ნახავს ფინალში ერთსა და იმავე გუნდებს. გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ასეთ მატჩებში. „მილანს" ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებსაც ფინალებშიც უთამაშიათ და ფსიქოლოგიურადაც მზად არიან...

...ჩვენი სეზონი ჰგავს ამბავს ბედნიერი დასასრულით. თავიდან ბევრი პრობლემა გვქონდა, მაგრამ ყველაფერი კალაპოტში მოვაქციეთ. ნაცვლად იმისა, რომ გვენერვიულა და თავის მართლება დაგვეწყო, პრობლემების მოგვარება შევძელით. ჩემპიონთა ლიგა „მილანისთვის" მუდამ უმნიშვნელოვანესი ტურნირი იყო. რაფაელ ბენიტესი დიდი მწვრთნელია. არ ვიცი, პირადად მისი საფეხბურთო ფილოსოფია როგორია, მაგრამ ვხედავ, როგორ თამაშობს „ლივერპული" და ამ გუნდში მთავარი დისციპლინაა. ეტყობა, რომ ბენიტესი წვრილმანებს უდიდეს ყურადღებას აქცევს. „მილანი" კი თავს იმით იწონებს, რომ მიუნხენში „ბაიერნთან" და შინ „მანჩესტერთან" უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენა და სეზონის ბოლოს კარგ ფორმაშია...

...სანამ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონია, ჩვენი გუნდი მუდამ ფავორიტი იქნება ყველა ტურნირში. პენალტების სერიაზე არ ვფიქრობ, მაგრამ თუ საქმე აქამდე მივა, ვეცდებით, უკეთ შევასრულოთ, ვიდრე სტამბოლში. სტამბოლური ფინალის წინა პრესკონფერენციაზე განვაცხადე: „ბედნიერი ვარ აქ ყოფნით და ვიმედოვნებ, რომ კიდევ მოვხვდებით ლიგის ფინალში". არ ველოდი, რომ ისევ ბენიტესს შევხვდებოდი, ვინ ივარაუდებდა ამას?"

ამას წინათ სტივენ ჯერარდმა თქვა, „მილანმა" ორი წლის წინანდელ ფინალში შესვენებისას იზეიმა ჩემპიონთა თასის მოგება და ამიტომ დაისაჯაო. ანჩელოტი ამან გააბრაზა და ჯერარდის ნათქვამს ნეხვი უწოდა: „მხოლოდ ერთი სიტყვა არსებობს ჯერარდის აზრის შესაფასებლად — ნეხვი! მართალია, თამაში მეორე ტაიმის ექვს წუთში წავაგეთ, მაგრამ შესვენებისას გასახდელში მხოლოდ იმას ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ კიდევ 45 წუთი გვაქვს დარჩენილი და პირველი ტაიმის მსგავსად უნდა ვითამაშოთ-მეთქი."




# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007 ფინალი



„ლივერპული“ და „მილანი“ ათენში ფინალამდე ორი დღით ადრე ჩავიდნენ

AFP

ანჩელოტის აზრით, 3:0-ის შემდეგ მატჩის წაგება არ იყო უდიდესი შეცდომა მის კარიერაში...

„ჩემი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ „იუვენტუსის“ მწვრთნელობისას ტიერი ანრიში თავდამსხმელის ნიჭი ვერ აღმოვაჩინე.“

რაფაელ ბენიტესი: „როდესაც ჩემპიონთა ლიგის ფინალი გელის, უაზრობაა, უთხრა ფეხბურთელებს, რომ ამ თამაშზე არ იფიქროთ. როცა მატჩის დღე მოვა, კლუბის ნებისმიერი წევრი მხოლოდ მთავარ მატჩზე ფიქრობს. ეს ხომ მთავარი ევროპული ჯილდოა. აქ იქნებიან მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები და ასეთ ვითარებაში მწვრთნელმა ფეხბურთელებს თავდაჯერებულობა და სიმშვიდე უნდა ჩაუნერგოს, რაც თავისი შესაძლებლობების უკეთესად გამოვლენაში დაეხმარება. ფინალის წინ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი გუნდის ავანჩავანს ანალიზებ. ხედავ, თუ რომელი ფეხბურთელები არიან მზად და ამბობ: „აი, ეს იქნება საფინალო შემადგენლობა.“ შემდეგ მეტოქის გუნდსაც გაარჩევ და იმკითხავებ: „ალბათ, ამას და ამას ათამაშებს.“ მერე კი, თუ შენს გუნდში ძლიერ მხარეებს აღმოაჩენ, მეტოქისაში კი სუსტს, ამას რა სჯობს? ზოგჯერ მატჩის მსვლელობისას გიწევს ტაქტიკის შეცვლა და საამისოდ რამდენიმე გეგმა უნდა გქონდეს. მე ყოველთვის მაქვს გეგმა A და გეგმა B და ერთხელ ფეხბურთელს გეგმა C-ზეც ვესაუბრე, მან კი D-ც მიხსენა — ეს მართალია. თამაშის დროს ტაქტიკის რამდენჯერმე შეცვლა უნდა შეგვეძლოს. „მილანი“, ისევე, როგორც „ლივერპული“, ამჟამად ფიზიკურად კარგადაა მომზადებული. მეც და კარლო ანჩელოტიმაც ბევრი რამ ვისწავლეთ სტამბოლური ფინალის შემდეგ. ანჩელოტი ფეხბურთელობისასაც მინახავს და ძალიან კარგი მოთამაშე იყო. მწვრთნელობაშიც ნიჭიერი გამოდგა და, ვფიქრობ, საუცხოო ფინალი გამოვა.“

სილვიო ბერლუსკონი: „დარწმუნებული ვარ, „მილანი“ მოიგებს, რადგან ჩვენს გუნდში უფრო მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელია, ვიდრე „ლივერპულში“. „ლივერპულს“ პრემიერლიგაში „მანჩესტერმა“ სძლია, ჩვენ კი „მანჩესტერს“ ვაჯობეთ და ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „მილანმა“ დღეს უნდა მოიგოს. ფეხბურთელებმა პენალტებში საგანგებოდ ივარჯიშეს, მათ შორის, მოცეკვავე მეკარის წინააღმდეგაც.“

გეხსომებათ, როგორ იხლართებოდა „ლივერპულის“ მეკარე ირჟი დუდეკი ორი წლის წინანდელ ფინალში და მოიგერია კიდეც ორი პენალტი...

ადრიანო გალიანი: „ეს განსაკუთრებული ფინალია ჩვენთვის, რადგან ძალიან მძიმე სეზონი გვქონდა. არც ერთი სხვა იტალიური გუნდი ამდენჯერ არ გასულა ფინალში და ამითაც ვამაყობთ. „მილანი“ საომრად მზადაა.“

ხაბი ალონსოს აზრით, თუ საქმე პენალტებამდე მივა, „ლივერპულს“ კვლავ უპირატესობა ექნება...

„პენალტების არ გვეშინია — თქვა ესპანელმა — ორი წლის წინანდელი თუ განმეორდა, „ლივერპული“ მოიგებს. მუდმივად ვვარჯიშობთ წერტილიდან დარტყმაზე და კარგადაც ვასრულებთ. მართალია, ირჟი დუდეკი აღარ გვეყოლება, მაგრამ ხოსე რეინა ხომ პენალტების მომგერიებლადაა ცნობილი. იგი გულმოდგინედ ირჯებოდა ვარჯიშებზე და მის კარში დამრტყმელს უნდა ეშინოდეს, რომ ვერ გაიტანს. რაც შეეხება 2005-ის ფინალს, მაშინ მალევე გავუშვით გოლი და ამან ჩვენი გეგმები არია. „მილანი“ უფრო სწრაფად თამაშობდა და კაკაც საუცხოო იყო პირველ ტაიმში. ვფიქრობ, ახლა იგივე აღარ განმეორდება და მატჩი ამჯერად ჩვენი კარნახით წარიმართება.“

ხავიერ მასკერანო სასწაულს უწოდებს იმას, რაც გადახდა. კაცი „ვესტ ჰემში“ იყო და უცბად ჩემპიონთა ლიგის ფინალში აღმოჩნდა...

„ამაზე ვერც ვიოცნებებდი — თქვა არგენტინელმა — ასეთი აზრი თავში არც კი გამიელვებდა. სეზონის დასაწყისში დაჩაჩანაკებულ „ვესტ ჰემში“ ვცოდვილობდი, სადაც ძირითად შემადგენლობაში არ მათამაშებდნენ. დღეს კი ფინალში თამაშის უფრო მეტი შანსი მაქვს, ვიდრე ხუთი თვის წინ „ვესტ ჰემის“ შემადგენლობაში. აღმოჩნდა, რომ სწორი არჩევანი გამიკეთებია. რაფაელ ბენიტესმა საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა, მას სჯეროდა ჩემი და ამიტომაც ვარ აქ.“

ყოფილმა მილანელმა რუუდ გულიტმა „გარდიანთან“ ინტერვიუში „შავ-წითლებსა“ და ფინალზე ისაუბრა:

— „მანჩესტერმა“ 7:1 რომ მოუგო „რომას“, ამან „მილანი“ დააფიქრა და ანჩელოტიმ სათანადო დასკვნები გააკეთა. დარწმუნებული ვიყავი, „მანჩესტერს“ საპასუხო შეხვედრაში „სან სიროზე“ აჯობებდნენ, თუმც არ მეგონა, რომ ასე იოლად შეძლებდნენ გამარჯვებას. კარლო ანჩელოტი მართალია, როცა ამბობს, „ლივერპული“ „მანჩესტერზე“ ძლიერიაო. ალექს ფერგიუსონის გუნდი უფრო შთამბეჭდავია, მაგრამ „ლივერპული“ ბენიტესის ხელში გაცილებით სახიფათოა. ევროთასებზე მათი დამარცხება ძალიან ძნელია. ორი წლის წინ ბენიტესის გუნდმა ფინალში 0:3 დიდებულად შემოატრიალა, ახლა კი სულ სხვანაირი თამაში იქნება. „მილანს“ ჰყავს საუცხოო კაკა და შესანიშნავი დაცვა. ხალხი ამბობს, რომ „შავ-წითლების“ მცველები გადაბერებულები არიან, მაგრამ ეს არასწორია. მათ ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებთ. ისინი სხვებზე უკეთ არიან მომზადებულნი. მალდინი კვლავაც 18 წლის მგონია, არადა, მალე 39 შეუსრულდება. ვფიქრობ, რომ „მილანი“ ნახევარდაცვის ხარჯზე მოიგებს, სადაც ზეედორფი და კაკა არიან. „ლივერპულს“ კი სტივენ ჯერარდი ჰყავს — უმაღლესი კლასის ფეხბურთელი. მე დირკ კუიტიც მომწონს, რომელსაც „ფეიენოორდიდან“ ვიცნობ, სადაც მწვრთნელად ვმუშაობდი. მაშინვე ვთქვი, რომ კუიტი კარგი მოთამაშე დადგებოდა და ჩემი ვარაუდი გამართლდა.

**მაჟა ხუციშვილი**

## ფაქტები, ფაქტები...

*ჩემპიონთა თასის ფინალს ათენი მესამედ უმასპინძლებს. 1983 წელს „ჰამბურგმა“ „იუვენტუსს“ 1:0 მოუგო, 1994-ში „მილანმა“ „ბარსელონას“ 4:0 სძლია. ათენშივე 1973 წელს „მილანმა“ „ლიდსი“ თასების მფლობელთა თასის ფინალში 1:0 დაამარცხა.*

*„მილანმა“ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ათენში აეკ-თან ითამაშა და 0:1 წააგო.*

*ეს ჩემპიონთა თასის 52-ე ფინალია. „მილანი“ მეთერთმეტედ გავიდა ფინალში და მეშვიდედ ეცდება ჯილდოს მოგებას. „ლივერპული“ კი მეშვიდედაა ფინალში და თასის მეექვსედ მოგების შანსი აქვს.*

*„ლივერპულმა“ ფინალში ორჯერ დაამარცხა იტალიური კლუბები: 1984-ში „რომა“ და 2005-ში „მილანი“, „იუვენტუსთან“ კი 1985-ში დამარცხდა.*

*ჩემპიონთა თასის ფინალის ყველაზე მხცოვანი მონაწილე დინო ძოფია. 41 წლის და 86 დღის იყო, 1983 წელს „იუვენტუსის“ შემადგენლობაში რომ ითამაშა. პაოლო მალდინი კი, თუ დღეს მოედანზე იქნება, მეორე კაცი გახდება ძოფის შემდეგ — მალდინი 38 წლის და 331 დღისაა.*

*ინგლისურ და იტალიურ კლუბებს ჩემპიონთა თასი 10-10-ჯერ მოუგიათ. ფინალის შემდეგ ერთ-ერთი ესპანეთს (11) გაუტოლდება.*

*„ლივერპული“ თუ მოიგებს, ინგლისი ევროჯილდოებით ესპანეთს (29) გაუტოლდება, „მილანის“ გამარჯვების შემთხვევაში კი იტალია ინგლისს (28) დაეწევა.*

*ეს მატჩი „მილანისთვის“ ევროთასებზე მესამასეა. სამასიანებში არიან „ბარსელონა“, „რეალი“, „იუვენტუსი“, „ბაიერნი“, „ინტერი“ და „ანდერლეხტი“. „მილანმა“ 160 მატჩი მოიგო და 69 წააგო. ორ გოლს თუ გაიტანენ, 500-ს მიაღწევენ. 500 კი ექვს ევროპულ კლუბს გაუტანია.*

*„მილანიც“ და „ლივერპულიც“ საკვალიფიკაციო ეტაპიდან მივიდნენ ფინალამდე. ეს მეორე შემთხვევაა „მანჩესტერი“ — „ბაიერნის“ 1999 წლის ფინალის შემდეგ.*

*ორი წლის წინ პენალტების გამტანი — დიტმარ ჰამანი, ჯიბრილ სისე და ვლადიმირ შმიცერი „ლივერპულში“ აღარ არიან. კაკა ერთადერთი მილანელი ფეხბურთელი იქნება დღეს მოედანზე, რომელმაც 2005-ის ფინალში პენალტი შეაგდო.*

**25. ხოსე რეინა** (24) — ფორვარდზე იტყვიან ხოლმე, საგოლე ალღო აქვსო. რეინა კი პენალტების მოგერიების ალღოთია ცნობილი. „ვილიარეალში“ თამაშისას ერთ სეზონში ცხრიდან შვიდი პენალტი აიღო.

**3. სტივ ფინანი** (21) — ახალგაზრდა ბეჯითი ირლანდიელი მარჯვენა მცველია და რაფაელ ბენიტესის აზრით, ამ პოზიციაზე საუკეთესოა გუნდში.

**23. ჯეიმი კარაგერი** (29) — ორი წლის წინანდელ ფინალში ბრწყინვალე იყო და ახლაც შესანიშნავ ფორმაშია. ცენტრალური მცველია, მაგრამ ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში.

**5. დანიელ აგერი** (22) — კარაგერზე შვიდი წლით უმცროსი დანიელი ფეხბურთელი ამ სეზონში ჩაეწერა ძირითად შემადგენლობაში და დაცვის ცენტრში თავისი ადგილი ნახა. შეტევაში ჩართვა ეხერხება — „ჩელსისთან“ მისი გოლით მოიგეს.

**6. იონ არნე რიისე** (26) — 2001 წელს „მონაკოდან“ გადავიდა „ლივერპულში“ და უმალ გახდა ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი. უმძლავრესი ცაციის პატრონია.

**8. სტივენ ჯერარდი** (26) — „ლივერპულის“ კაპიტანი და თილისმა. დაცვა, შეტევა, პასი, დარტყმა — ყველაფერი შეუძლია. მთავარია, საჯარიმოს ხაზთან ბურთი დაუგორონ და...

**20. ხავიერ მასკერანო** (22) — იანვარში „ვესტ ჰემიდან“ გადაიყვანეს. ბედი არ გინდა? „ჩაქუჩებში“ რომ დარჩენილიყო, პრემიერლიგაში დასარჩენად ბრძოლა მოუწევდა, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის ფინალშია. ბენიტესმა მალევე მოუნახა ადგილი ნახევარდაცვაში და არგენტინელიც საქმეს ფრიადზე აკეთებს.

**14. ხაბი ალონსო** (25) — „ლივერპულში“ გადასვლის დღიდან ერთ-ერთი უმთავრესი ნახევარმცველი გახდა. მეტოქის იერიშების ჩამშლელი და თავისიანთა შეტევების დამწყებია. მასკერანოსთან ერთად შუა ხაზს ბატონ-პატრონობს.

**32. ბუდევინ ზენდენი** (30) — ყოფილი მოჭიდავე ჯანით და გამძლეობით გამოირჩევა. ჰარი კიუელის ტრავმამ მარცხენა ფლანგზე გზა გაუხსნა და ასეთ მშრომელ ბიჭებს ბენიტესი ყოველთვის აფასებდა.

**18. დირკ კუიტი** (26) — ჰოლანდიელი შარშან იყიდეს „ფეიენოორდიდან“ და არცთუ ურიგო სეზონი გამოუვიდა. პრემიერლიგაში 12 გოლი შეაგდო და მისგან მეტს ელიან, მაგრამ შეტევაში კარგი მეწყვილე არ ჰყავს.

**15. პიტერ კრაუჩი** (26) — ამ სეზონის ყველა შეჯიბრში 18 გოლი შეაგდო და აქედან შვიდი ჩემპიონთა ლიგაში. სტაბილურობას უწუნებენ, თორემ ბურთთან მოპყრობა არ ეშლება და, სიმაღლის მიუხედავად, მაკრატელას გატანაც შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# შურისძიება? არა, მოგება!

**2000 წლის სექტემბერში რიკარდუ იზეკსონ დუშ სანტუშ ლეიტე სალაღობოდ აუზში ჩახტა. აუზი ღრმა არ აღმოჩნდა... დაზიანებული ხერხემლის მკურნალობამ დიდი დრო წაიღო, მაგრამ დროს ვინ ჩივის, მადლობა უფალს, ახალგაზრდა კაცი ინვალიდის სავარძელს რომ არ მიეჯაჭვა. თავიდან სწორედ ამას შიშობდნენ ექიმები. მას შემდეგ ამ ადამიანმა, რომელსაც მსოფლიოში კაკად იცნობენ, თერთმეტი ოცნება აიხდინა და დღეს მეთორმეტეს უნდა შეეჭიდოს — ათენში „მილანი" „ლივერპულს" ხვდება, გამარჯვებულს კი ჩემპიონთა თასი დარჩება. ინტერვიუ, რომელშიც კაკა მრავალ საინტერესო თემას ეხება, fifa.com-იდან არის გადმოქართულებული...**



AFP

— ფეხბურთელთა შორის თქვენ ერთადერთი მორწმუნე არ ხართ, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით, გეტყობათ, რომ რწმენა ცხოვრების მთავარ ძარღვად დაგისახავთ...

— ფეხზე ხელახლა დადგომის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ჩემს ცხოვრებაში მთავარი ადგილი ბიბლიამ დაიკავა. წმინდა წერილი ჩემთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ, როგორც ადამიანისთვის, არამედ, როგორც ფეხბურთელისთვისაც. ის ჩემი ნაწილია, მე მისით ვარსებობ, ოღონდ, ბუნებრივია, მუხლჩაუხრელ შრომასა და ვარჯიშებსაც უდიდეს ყურადღებას ვუთმობ. ვარჯიშით, ჩვენ ყველანი ვვარჯიშობთ, თუმცა, როდესაც შეუძლებელი სინამდვილედ იქცევა, ვიცი, რომ ეს ჩემმა რწმენამ ქნა, უფალი დამეხმარა. ეს ის გახლავთ, რაშიც ეჭვი არ მეპარება.

**— დღეს თქვენ გაცილებით ათლეტური ხართ ვიდრე მაშინ, ევროპაში პირველად რომ ჩამოხვედით. ფიზიკურ მომზადებას საგანგებო ყურადღება მიაქციეთ?**

— გასაძლიერებლად დამატებით სამუშაოებს ვასრულებდი. გაძლიერებული ფიზიკური წრთობა წინა კლუბში, „სან პაულუში" დავიწყე, შემდეგ „მილანში" გავაგრძელე და, როგორც ხედავთ, ახლა უკვე კარგ ფორმაში ვარ. ხანგრძლივი სეზონის ბოლოს, უამრავი მატჩის შემდეგაც კი არ ვგრძნობ დაღლილობას.

**— რაც, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ თქვენი უპირატესობაა...**

— გულწრფელად გეტყვით, იტალიის ჩემპიონობისა იმთავითვე არ გვწამდა, რადგან კალჩოპოლის სკანდალის გამო რვა ქულა დაგვაკლეს. სერია A-ში ერთადერთი, რაც გვინდოდა, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვება იყო და მეტი არაფერი. ასე რომ, ყურადღება ძირითადად ევროპული შეჯიბრებისკენ გვქონდა მომართული.

**— ზამთარში „მილანი" ბორძიკობდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა და ახლა ისე ჩანს, რომ ფორმის პიკს ყველაზე საჭირო დროს მიაღწიეთ...**

— სწორი ანალიზია, მაგრამ ასეთი რამ არ დაგვიგეგმავს. მეორე მხრივ კი, რასაკვირველია, სასიხარულოა, სეზონის უმთავრეს მატჩს კარგ ფორმაში რომ ვხვდებით.

**— გუნდი გუნდად და, ამ სეზონში პირადად თქვენც ჩინებულად ითამაშეთ, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაში...**

— ვფიქრობ, უკეთაც შემიძლია, თუმცა იმასაც ვადასტურებ, რომ ახლა ადრინდელზე კარგად ვთამაშობ. ძნელია, კონკრეტულად აღგიწეროთ, კერძოდ, რისი გაუმჯობესება შემიძლია, ეს ფრიად სპეციფიკური საკითხია, მაგრამ ადამიანს პერსპექტივის შეგრძნება და მოთხოვნილება აუცილებლად უნდა ჰქონდეს. იმედი მაქვს, მომავალ სეზონში ჩემი პროგრესი უფრო თვალსაჩინო გახდება.

**— „მილანში" არის კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ჩინებულ ფორმაშია, ეს კლარენს ზეედორფი გახლავთ. თქვენ მოედნის შუაში უძლიერესი დუეტი შექმენით...**

— კლარენსის ფაქტორი „მილანისთვის" გადამწყვეტია. მერედა, როდესაც ის თამაშობს, საუცხოოა. „ბაიერნთან" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" ზეედორფი დიდებული იყო. ამას მხოლოდ დიდი ფეხბურთელები ახერხებენ.

**— „ლივერპულმა" 2005 წლის ფინალში დაგამარცხათ. ახლანდელ ფინალს მაშინდელისთვის რევანშის საშუალებად ხომ არ აღიქვამთ?**

— არა, ეს არაფერ შუაშია. მაშინ „ლივერპულმა" დაგვამარცხა რაც, იმას ნიშნავს, რომ ის ღირსეული გამარჯვებული იყო, ახლა კი დროა, ჩვენც დავამტკიცოთ ჩვენი უფლება დიდ ჯილდოზე. მე მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ, შურისძიებაზე კი არა. მინდა, „მილანთან" ერთად ისტორიაში შევიდე, როგორც 2006-07 წლების ჩემპიონთა ლიგის ღირსეული გამარჯვებული. წარსული უნდა დავივიწყოთ, რადგან უწინდელი შეცდომების ჩხრეკა და ანალიზი კარგს არაფერს მოიტანს. მე თუ მკითხავთ, ერთადერთი, რაც 2005 წლის ფინალმა დაამტკიცა, ის იყო, რომ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. დღეს ჩვენ ორი წლით უფრო გამოცდილები ვართ, იმ დროის შემდეგ რამდენიმე უმაღლესი დონის შეხვედრა გადავიტანეთ და დავაჭაშნიკეთ. ეს სწორედ ის არის, რაც წაგვადგება, განსაკუთრებით, ჩემსავით შედარებით ახალგაზრდა მოთამაშეებს.

**— კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, საქმე პენალტებზე რომ არ მიდგეს. ამ სურვილს თუ ჩანაფიქრს თქვენც იზიარებთ?**

— ჩემთვის ეს სურვილი გასაგებია. ამ სეზონში „ფიორენტინასთან" ერთი პენალტი მეც გავაფუჭე და, მართალია, 2005 წლის ფინალში შევაგდე, გამარჯვება მაინც მოწინააღმდეგეს დარჩა. ვერ წარმომიდგენია გუნდი, რომელსაც საქმის პენალტებამდე მიყვანა გაახარებს და ამის დაგეგმვა ხომ მით უმეტეს ვერ წარმომიდგენია. აი, მაგალითად, წლევანდელ ნახევარფინალში „ლივერპულმა" „ჩელსი" სწორედ ასე დაამარცხა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძირითად დროში გამარჯვება ერჩიათ. ამ სეზონში „ლივერპულის" თამაშებს რეგულარულად ვუყურებდი და ვიცი, რომ ის ძალიან ძლიერი გუნდია. ტაქტიკური თვალსაზრისით, ჩვენი მეტოქე თითქმის იდეალურია, მას უძლიერესი მწვრთნელი ჰყავს და ამ ყველაფერთან ერთად, „ლივერპული" ნამდვილი ინგლისური სულისკვეთებით გამოირჩევა.

— „ლივერპულის" ფეხბურთელთაგან თქვენზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას რომელი ახდენს?

— ყველაფრის ორგანიზატორი და წამომწყები უდავოდ სტივენ ჯერარდია. მან რომ ჩვენს წინააღმდეგ არ ითამაშოს, ძალიან გამიხარდება.

— ამ სეზონში ათი გოლით ბომბარდირთა შორის პირველი ხართ. ეს შემტევი ნახევარმცველისთვის საუცხოო შედეგია, არა?

— გოლების გატანა ჩემი მიზანი არ არის. მე გამთამაშებელი ვარ და მომავალშიც გამთამაშებელი ვიქნები, თუმცა გოლების გატანაც რომ ჩინებულია, რაღა უნდა ლაპარაკი. და მაინც, მე გამარჯვებაზე ვფიქრობ, ხოლო ვინ გაიტანს, რა მნიშვნელობა აქვს.

**— მოდით, თქვენს მომავალზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, მით უმეტეს, რომ თქვენდამი დიდ ინტერესს მადრიდის „რეალი" იჩენს. ესპანეთში გადასვლის პერსპექტივა რამდენად გხიბლავთ?**

— რაც „მილანში" ვარ, ამას ძალიან ხშირად მეკითხებიან და მეც სულ ერთსა და იმავეს ვპასუხობ: მე 2011 წლამდე მაქვს კონტრაქტი და მას პატივს ვცემ. წასვლაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიფიქრებ, თუ „მილანი" ჩემს გაყიდვას გადაწყვეტს.

**— თქვენი უმცროსი ძმა დიგაოც იტალიაშია, სერია B-ში, „რიმინიში" თამაშობს. მერედა, მარტო ქალაქ მილანში, „მილანსა" და „ინტერში" თქვენი ცხრა თანამემამულეა თავმოყრილი. წესით, სამშობლოს ნოსტალგია არ უნდა გაწუხებდეთ...**

— ძმის სიახლოვე, ბუნებრივია, დიდად მეხმარება. რაც შეეხება „ინტერში" მოთამაშე ბრაზილიელებს, მათ, ისევე, როგორც „მილანის" ბრაზილიელებმა, იციან, რომ ეს ორი გუნდი პრინციპული მეტოქეა, მაგრამ ეს ურთიერთობებზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს, რადგან ყველანი მეგობრები ვართ.

**— ამასწინათ, „მილანის" ვიცეპრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ ანდრეი შევჩენკოს დაბრუნება სურს. ცნობილია, რომ შევჩენკო თქვენს საქომაგოდ ათენში უკვე ჩამოვიდა. რას იტყოდით, გინდათ, რომ ის დაბრუნდეს?**

— ვიცი, როგორ გაუჭირდება მეგობრების თამაშისთვის თვალყურის ტრიბუნიდან დევნება. მიხარია, ის ჩვენი მოწინააღმდეგე რომ არ არის. ანდრეი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით ვიხილავდი კვლავ ჩვენს გუნდში.

**— და ბოლოს, ამბობენ, რომ „მილანმა" შეიძლება რონალდინიო იყიდოს. ეს ალბათ თქვენთვის საოცნებო ტრანსფერი იქნებოდა, არა?**

— ასე რომ მოხდეს, ძალიან გამიხარდება. რონალდინიო საუკეთესოა და ჩვენი კლუბისთვის დიდი შენამატი იქნებოდა. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, ხშირად ველაპარაკებით ერთმანეთს. წარმოიდგინეთ, რა დიდებული გუნდი იქნება: შევჩენკო, რონალდინიო და რონალდო. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, მეც საუკეთესოების გვერდით მინდა თამაში.

# მუსიკის მასწავლებელი მოკლე სალამურით
## ფანდელი ნოტებით უსტვენს


AFP

**ჰერბერტ ფანდელის** მთავარმსაჯობით „მილანს" ხუთიდან ხუთი მატჩი მოუგია, „ლივერპულისთვის" კი გერმანელი არბიტრი „თარსია". სამჯერ იმსაჯა ფანდელმა მერსისაიდული კლუბის შეხვედრებში და შედეგი ასეთია: ორი წაგება, ერთი ფრე და არც ერთი გატანილი გოლი. უეფას მსაჯთა 11-წევრიანი კომიტეტი, რომელშიც პიერლუიჯი კოლინაცაა, თავიდან სლოვაკ ლუბოშ მიხელისკენ იხრებოდა, მაგრამ ფანდელი ამჯობინა.

გერმანელის მსაჯობით ბოლოს „ლივერპულმა" შინ 0:1 წააგო „ბარსელონასთან".

43 წლის პიანისტმა, ვისაც საკუთარი მუსიკალური სკოლა აქვს, 2001-ში 21-წლამდელთა მატჩი განსაჯა იტალიასა და ინგლისს შორის, რომელიც იტალიელებმა 2:0 მოიგეს. იმ გუნდში იყვნენ ანდრეა პირლო და ჯენარო გატუზო, ინგლისელთა შორის კი ჯეიმი კარაგერმა ითამაშა. ორიდან ერთი გოლი პირლომ პენალტით შეაგდო.




# ფეხბურთი კალათბურთი არ არის

## რაფაელ ბენიტესი: აკეთეთ კარგად ის, რასაც ისედაც კარგად აკეთებთ




AFP

რაფაელ ბენიტესი მეორედაა ჩემპიონთა ლიგის ფინალში — ორი წლის წინ მისმა „ლივერპულმა" „მილანი" სტამბოლში გაამწარა, დღეს კი ამ გუნდების ბრძოლის ველი ათენური არენა იქნება.
თუ ამჯერადაც ბენიტესმა გაიმარჯვა, დაამტკიცებს, რომ ლეგენდარული ბობ პეისლის ტრადიციების ღირსეული მიმდევარია — პეისლიმ „ლივერპულს" ჩემპიონთა თასი სამჯერ მოაგებინა, ბენიტესმა კი ჯერჯერობით ერთხელ...
ინგლისური კლუბის ესპანელ თავკაცს „ასი" ესაუბრა...

— „მილანის" თამაში უკვე ზეპირად იცით?

— მეტოქის ბოლო ათი თამაში ენახეთ და გულდასმით შევისწავლეთ, რათა თავდასხმა, დაცვა და, საერთოდ, მათი სტრატეგია გაგვეანალიზებინა, შემდეგ კი ამისგან შედგენილი მასალა ჩემს ფეხბურთელებს ენახათ. მე და ჩემმა ასისტენტებმა უზარმაზარი ვიდეო-მასალა შევისწავლეთ, თუმც ბიჭებს ეს თხუთმეტწუთიანი რგოლების სახით ვაჩვენეთ.

— ანუ ამ „ფილმებს" ყველამ ერთად უყურა და თითოეულ ფეხბურთელს dvd-ზე თავიანთი მეტოქეების თამაში ცალკე არ გაუანალიზებია?

— ისე მოვიქეცით, როგორც სიტუაციას შეეფერება — „ფილმებს" ყველამ ერთად უყურა, „ლივერპულის" დონის ფეხბურთელებმა უკვე საკმარისად ბევრი იციან, რათა მასალის „დალეჭვა" და ცალ-ცალკე შეთავაზება არ დასჭირდეთ. ჩვენ მათ „მილანზე" საერთო მონახაზი მივეცით და არა მგონია, ვინმე გაუგებრობაში დაგვეტოვებინა. რგოლების მიზანი იყო, ის საქმე დაგვეხვეწა, რასაც ისედაც კარგად ვაკეთებთ.

— იმ თამაშებიდან, რომელიც თქვენ ნახეთ, ფიქრობთ, რომ რომელიმე ათენური ფინალის მსგავსი იქნება?

— დიახ. „მანჩესტერთან" „მილანის" თამაშის ცალკეული დეტალები შეიძლება გამოგვადგეს. „ინტერთან" მატჩიც ფრიად საყურადღებოა.

— სტამბოლური ფინალისგან განსხვავებით, „მილანში" ანდრეი შევჩენკო და ერნან კრესპო ველარ ითამაშებენ. კარლო ანჩელოტის გუნდში ყველაზე მეტად მოიერიშეთა ხაზი შეიცვალა...

— ალბათ ასეა. შევჩენკო და კრესპო ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი შემცვლელები სუსტებად მივიჩნიოთ. ადრე „მილანს" ორი გამოკვეთილი ფორვარდი ჰყავდა, ახლა კი იტალიელთა გაკონტროლება უფრო ძნელია, რადგანაც ანჩელოტი წინ ხან ორ, ხან სამ ფეხბურთელს აყენებს.

— ერთ-ერთი მათგანი კი კაკაა...

— ასეა, მაგრამ მარტო კაკაზე ყურადღების გადატანა არ ივარგებს. „მილანს" სხვა სახიფათო მოთამაშეებიც ჰყავს, მაგალითად, კლარენს ზეედორფი, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია.

— მათ დაჭერას როგორ აპირებთ?

— ეს ადვილი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კაკას დარ ფეხბურთელს და „მილანის" დარ გუნდს პრემიერლიგაში ვერ ნახავ და მათთან ბრძოლის გამოცდილებას ვერ მიიღებ. წლეულს ჩვენს მიერ ნათამაშები მატჩებიდან ფინალში მოსაგებად ვერც ერთს გამოვიყენებთ.

— იტალიელებთან თამაშის წინ გუნდის გასამხნევებლად ფსიქოლოგს არ მიმართეთ?

— ფსიქოლოგის სამუშაო ერთი ან ორი კვირით არ ამოიწურება, ეს პერმანენტული ამბავია. ამიტომაც აზრი არ ჰქონდა ახლა ფსიქოლოგებისთვის მიმართვას.

— ფსიქოლოგიური დახმარება ორი წლის წინანდელი მარცხის შემდეგ „მილანს" უფრო სჭირდებოდა...

— ცხადია, იტალიელებს რევანშის დიდი სურვილი ექნებათ. მათ „ლივერპულზე" მრისხანების მოთოკვა და ამ გრძნობის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება გაუჭირდებათ.

— ათენშიც სტამბოლური ფინალის გამეორებას ხომ არ აპირებთ?

— იგივე ფინალი რომ იყოს, ან თუნდაც მსგავსი, უეჭველად სტამბოლური ზეიმი განმეორდებოდა, მაგრამ ის მატჩი განუმეორებელთა კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომაც კარგი იქნება, თუ ათენში პირველ ტაიმში გოლებს არ გავუშვებთ და მეორეში იძულებული არ გავხდებით, ერთი იმდენი გავიტანოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი რამის მიღწევას ყოველთვის ვერ შევძლებთ, თანაც ისეთ გუნდთან, როგორიც „მილანია".

— თუ გავითვალისწინებთ, როგორ ასრულებენ თქვენი ფეხბურთელები პენალტებს, „ლივერპულისთვის" არც ის იქნება ცუდი, მატჩის ბედი კვლავ თერთმეტმეტრიანების სერიამ გადაწყვიტოს...

— პენალტებისას ცივსისხლიანობა და მაღალი დონის ოსტატობაა საჭირო. პენალტებზე კი ვარჯიშობ ხოლმე, მაგრამ შენს წინ ხომ ის მეკარე არ დგას, რომელსაც გადამწყვეტ მატჩში დარტყმის მოგერიება ევალება? ეს კალათბურთი ხომ არ არის, სადაც ბურთის ჩაგდება მუდამ ერთი და იმავე ზომის კალათში გიწევს... ვარჯიშებზე შეიძლება პენალტების შესრულება დახვეწო, მაგრამ მეტოქის მეკარეს ყოველთვის შეუძლია, სიურპრიზი შემოგთავაზოს.

— მიუხედავად ამისა, „ლივერპული" პენალტების სერიის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ შემსრულებლად რჩება...

— კარგი მეკარის ყოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — ხომ ნახეთ, სევილიელმა პალოპმა უეფას თასის ფინალში რა გააკეთა. ჩვენ კარგი მეკარე გვყავს და თავს დაცულად ვგრძნობთ. გარდა ამისა, საჭიროა, მეტოქეთა პენალტების შესწავლა...

— როგორც ჩანს, „ლივერპული" და „მილანი" ფინალში ერთმანეთს ბევრით ვერაფრით გააკვირვებენ...

— ცდებით. ყოველთვის არსებობს იმის შანსი, რომ რომელიმე გუნდი „აფეთქდეს". ჩვენი მიზანია, „მილანს" ყოველმხრივ მომზადებულნი შევხვდეთ და იტალიელებმა ბევრით ვერაფრით გაგვაკვირვონ. თუმცა, თუ რაღაცის შეცვლა გინდა, ცხადია, რისკზე უნდა წახვიდე და მეტოქესაც და გულშემატკივარსაც სიურპრიზი შესთავაზო, რამაც შეიძლება... შენ უფრო დაგაზარალოს. იმის თქმა მინდა, რომ მოულოდნელ ფანდებს თუ მიმართავ, მეტი შანსია, დაიბნე და გუნდიც საბედისწეროდ დაბორკო. ამიტომ ისევ ჩვეული, ნაცადი მეთოდების გამოყენებაა სასურველი. ის უნდა აკეთო, რაც მთელი წლის განმავლობაში გიკეთებია და მეტოქის შეცდომები გამოიყენო.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ მწვრთნელთა იმ კატეგორიას ეკუთვნით, რომლებიც ჯოკერს სახელოში მალავენ...

— ბუნებრივია, ვეცდები, ჩემი გუნდის შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენო. მე ხომ ყველაზე უკეთესად ვიცი, ფინალისთვის ვინ როგორ ფორმაშია და შემადგენლობასაც ამის მიხედვით ვაყენებ...

— სამი წელია, „ენფილდზე" ხართ. ეს „ლივერპული" უფრო სათქვენოა თუ 2005 წლის ტრიუმფატორი გუნდი?

— ყოველ წელს გუნდში მოდის ხალხი, რომელიც უფრო და უფრო ათვითცნობიერებს ჩემს იდეებს, უფრო უკეთესადაც თამაშობენ, მაგრამ იდეალური გუნდი მაინც არ გვყავს, რადგანაც ჩვენ, მწვრთნელები, მუდმივად უკმაყოფილონი ვართ, სულ უკეთესისკენ მივისწრაფვით... ახლა გუნდი უფრო ძლიერია, მაგრამ ამით სულაც არ ვაპირებ, მაშინდელი „ლივერპული" დავაკნინო. იმ გუნდების შედარება, რომელთაც ერთმანეთისგან წლები აშორებთ, არ შეიძლება.

— სეზონის ბოლოა და „ლივერპული" მაინც შესანიშნავ ფორმაშია. ცხადია, ამაში დამსახურება თქვენს თანაშემწეებსაც მიუძღვით...

— პაკო აიესტარანი თავის საქმეში პირველია, ოჩოტორენაც კარგად მუშაობს მეკარეებთან... ყველა მწვრთნელი უმაღლესი დონის პროფესიონალი გახლავთ, საბოლოოდ კი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ერთ უდიდეს საქმეს, „ლივერპულის" გამარჯვებას ემსახურება.

— აიესტარანი თავის საქმეში პირველია. და რაფა ბენიტესი?

— მწვრთნელები ფეხბურთელებზე და დიდ გუნდებში მუშაობის დაწყების შანსებზე ვართ დამოკიდებულნი. რამდენი მწვრთნელია, რომლებიც ძლიერ გუნდებში ვერ მუშაობენ და საკუთარი ძალების სრულად წარმოჩენა არ შეუძლიათ?! ჩვენ შესანიშნავი სამწვრთნელო შტაბი გვყავს, ამაში დაეჭვება არ შეიძლება. თუმცა ხომ არიან სხვებიც, რომლებიც ჩვენსავით მუშაობენ და გარკვეული მიზეზების გამო წარმატებებს ვერ აღწევენ... ეს მიზეზები კი ძირითადად ფინანსური ხასიათისაა.

— თქვენ ყოველთვის აღნიშნავდით, რომ მწვრთნელთა ესპანური სკოლა მაღალი დონისაა...

— ახლაც ამას ვიტყვი. ესპანეთში ნაყოფიერად მუშაობენ, ყოველ წელს ახალი ნიჭიერი მწვრთნელი გამოდის. შეიძლება, მათი გუნდები ელიტაში არ არიან, მაგრამ თავკაცთა ხელი ეტყობათ... ასევეა იტალიაშიც. საინტერესო სპეციალისტებს შეიძლება, სხვა ქვეყნებშიც შევხვდეთ.

— ფინალს დავუბრუნდეთ. მოედანზე გასვლის წინ თქვენს ფეხბურთელებს რას ეტყვით?

— იმას, რომ ის აკეთონ კარგად, რასაც ისედაც კარგად აკეთებენ. ვეტყვი, რომ არაჩვეულებრივი არაფერი მოინდომონ — ეს ფინალია და არც საკუთარ საჯარიმოში ფინტაობაა საჭირო და არც „საუკუნის პასის" გაჩარხვა გუნდის ხიფათში ჩაგდების ხარჯზე... ვფიქრობ, რახან ფინალამდე ასე მოვედით, ათენშიც ასე უნდა ვითამაშოთ — რაიმეს შესაცვლელად ხელსაყრელი დრო ნამდვილად არ არის.

— ხოსე რეინა ერთ-ერთი მათგანია, რომლებიც საბრძოლო ფორმაში იმყოფებიან?

— პეპეს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა და შარშანაც უმაღლეს დონეზე ითამაშა. რეინამ „ლივერპულის" დიდი მეკარის, რეი კლემენსის მიღწევებიც გააუმჯობესა.

— წარმატებებს გისურვებთ...

— გმადლობთ. მჯერა, რომ ესპანეთში „ლივერპულს" ბევრი მხარდამჭერი ეყოლება...




# აბრამოვიჩმა შევჩენკოს მილანის კარი გაუღო...

**ლონდონიდან** ხმა გამოვიდა: ანდრეი შევჩენკოსთვის რომან აბრამოვიჩს, შუქნიშნის ენაზე რომ ვთქვათ, მწვანე აუნთია, შეგიძლია, „მილანში" წახვიდეო.

როგორც ყველგანმძრომი გაზეთ „სანის" კორესპონდენტებისთვის გახდა ცნობილი, უკრაინელ ფორვარდს „ჩელსის" შეფებმა დღეს, ათენში, თავიანთ მილანელ კოლეგებთან შეხვედრის ნება დართეს — იმედია, „სარბიელის" მკითხველთაგან არავინ იკითხავს, რატომ ხდება მოქმედება საბერძნეთის დედაქალაქში.

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ შევჩენკო „ლურჯებმა" „შავწითლებისგან" 30,8 მილიონ გირვანქად იყიდეს. დღეს შევას შეუძლია, ყოფილ კლუბთან თავისი კერძო ამბები შეათანხმოს, კლუბები კი ცალკე შეეცდებიან ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას.

ცნობისთვის: უკრაინელი ფორვარდი ათენში „მილანის" პრეზიდენტის პირადი სტუმარია.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცნობილი შეიქნა ისიც, რომ „ჩელსის" თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, რომ შევჩენკოს გაშვება შემცვლელის მოძიების გარეშე არ სურს და, თუ არ ვცდებით, ორივე კლუბის დირექტორებს ფულს პლუს ფეხბურთელის კომბინაცია შესთავაზა. და აი, აქ მივადექით ჩვენთვის ყველაზე საინტერესოს: თუ „მილანი" ლონდონის კლუბს საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს მისცემს, მაშინ „ჩელსი" შევჩენკოს ფასს დააკლებს — 12 მილიონზე მეტს არ მოითხოვს.

კი მაგრამ, რომელი შევჩენკოს შემცვლელი კალაძეა, ერთი ხომ თავდამსხმელია, მეორე კი მცველი? დიახ, მაგრამ ახალი თავდამსხმელის მოძიება მაურინიუსთვის ცალკე საკითხია. ლონდონელები არგენტინელი კარლოს ტევესის ხელში ჩასაგდებად მადრიდის „რეალთან" აპირებენ ჭიდაობას.

შეგახსენებთ, რომ აქამდე არსებული ბოლო ცნობით, ანდრეი შევჩენკო „ჩელსიში" დარჩენას და ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას აპირებდა, მაგრამ განა კარგა ხანი არ არის ცნობილი, რომ მაურინიუს უკრაინელი გულზე არ ეხატება? მოკლედ, როგორც ეტყობა, მაუმ „ლურჯების" მეპატრონის, მილიარდერი რუსის, როგორც აქამდე ამბობდნენ, შევჩენკოს მფარველის რომან აბრამოვიჩის თანხმობა მაინც მოინადირა.

და კიდევ, ლონდონელები ჰოლანდიელ ხალიდ ბულარუზს „პსვ ეინდჰოვენს" 6 მილიონ გირვანქად აძლევენ, მის ნაცვლად კი ალექსი მოჰყავთ.

**პაპუნა ძიდია**

# სამართალმა პური ჩელსის აჭამა

**სპორტის** საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელიც ლოზანაში ბუდობს, „ჩელსის" სარჩელი დააკმაყოფილა და გაამართლა. ჩელსელებმა ფიფას სარჩევარზე შეიტანეს აპელაცია და საქმე მოიგეს.

ფიფელების აზრით, ლონდონურ კლუბს ადრიან მუტუსთან ცალმხრივად კონტრაქტის გაწყვეტის უფლება არ ჰქონდა, „ჩელსიმ" კი ლოზანაში საპირისპირო დაამტკიცა.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსიმ" 2004 წლის ოქტომბერში მუტუსთან კონტრაქტი გაწყვიტა და გაუშვა, რადგან რუმინელი კოკაინის ყნოსვაში ამხილეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## დიდიე დროგბა

თავდამსხმელი

დაიბადა 1978 წლის 11 მარტს აბიჯანში

სიმაღლე: 1,89 მეტრი

წონა: 74 კგ

კარიერა:

1998-2002 წლები — „ლე მანი" (62 მატჩი, 11 გოლი),

2002-03 წლები — „გენგამი" (45 მატჩი, 20 გოლი),

2003-04 წლები — „მარსელი" (35 მატჩი, 18 გოლი),

2004 წლიდან — „ჩელსი" (91 მატჩი, 42 გოლი)

2002 წლიდან თამაშობს კოტ დივუარის ნაკრებში (40 მატჩი, 28 გოლი)







## MERCEDES SL65

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,532 მეტრი

სიგანე: 2,033 მეტრი

სიმაღლე: 1,295 მეტრი

წონა: 2 120 კგ

ცილინდრი: 12

ძრავის კუბატურა: 6,0

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 250 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,2 წამში

ფასი: 180 000 დოლარი

# დევიდი და დედოფალი



**გაიმარჯვა!** დევიდ ბექჰემმა გაიმარჯვა, დიდი ბრიტანული ჯილდო მიიღო.

რა ჯილდო? ის, რომელზეც გუშინ მოგახსენებდით: წლის უდიდესი ან, თუ გნებავთ, საუკეთესო უცხოეთში მცხოვრები ბრიტანელი. სხვა სიტყვებით, ბრიტანელებმა ფეხბურთელი ბექჰემი, რომელიც მადრიდში ცხოვრობს და „რეალში" თამაშობს, თავიანთი ქვეყნის ყველაზე წარმატებულ ელჩად და პროპაგანდისტად მიიჩნიეს.

გუშინვე მოგახსენეთ, რომ ამ დაჯილდოვების ცერემონიალში მონაწილეობისთვის და, როგორც შემდეგ გაირკვა, პრიზის მისაღებადაც, ინგლისის ნაკრების 32 წლის ყოფილი კაპიტანი მადრიდიდან ლონდონში ნაქირავები თვითმფრინავით ჩაფრინდა და შოუს შემდეგ უკან დაბრუნდა — მეორე დღეს „რეალის" ვარჯიშს ვერ გააცდენდა.

„ეს ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა" — თქვა ბექჰემმა სამადლობელში.

შეგახსენებთ, რომ ამ დაჯილდოვების ნომინანტები ჩვეულებრივმა ხალხმა დაასახელა და გამარჯვებულთა ვინაობაც საკუთრივ შოუს მსვლელობისას სატელეფონო ზარებით გაირკვა.

ხოლო ყველაზე დიდ ბრიტანელად გამოკითხულებმა მსახიობი ელენ მირენი დაასახელეს. მოგახსენებათ, ამ რუსული წარმოშობის (ელენა ვასილიევნა მირონოვა) შემოქმედმა წლეულს ფილმში, THE Queen, ბრიტანეთის ამჟამინდელი დედოფლის ელიზაბეტ მეორის როლის შესრულებისთვის „ოსკარი" მიიღო.

**პაპუნა ძიდია**

# მუსას პატრონი

**„ჩელსი"** შეტევის გაძლიერებას და „ალკმაარიდან" მუსა დემბელეს შეძენას აპირებს — წერს „სანდი მირორი". ჯანიან ფეხბურთელს უკვე დიდი ხანია, აკვირდებიან „ინტერი" და „ბარსელონა", მაგრამ დემბელეს „პატრონი" პიტ დე ფირერია, ვინც „ჩელსისთვის" ჰოლანდიაში ნიჭიერ მოთამაშეებს ეძებს. დე ფირერი დემბელეზე დიდი ხანია, ზრუნავს და „ტილბურგიდან" „ალკმაარშიც" მისი მიყვანილია.

# მამამ ჩელსი თქვა

**არიენ რობენი** „ჩელსისთან" კონტრაქტს გაახანგრძლივებს და მიუნხენის „ბაიერნში" აღარ გადავა. ამის შესახებ ჰოლანდიელის მამამ „ალგემაინე დაგბლადს" განუცხადა.

„ჩვენ ახალ ხელშეკრულებაზე ვმუშაობთ — თქვა უფროსმა რობენმა — ყველა დეტალი შეთანხმებული არაა, მაგრამ ჩემს შვილსა და კლუბს შორის გაუგებრობა აღარ არსებობს. კონტრაქტი ხუთწლიანი იქნება".

მიუნხენის „ბაიერნმა" კი რობენს თავი დაანება და „პორტუდან" რიკარდუ კვარესმას გადაბირებას შეეცდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა
### XXIX ტური

ბრნო — კლადნო 1:0; ლიბერეცი — ტეპლიცე 2:0; მოსტი — ბოლესლავი 1:1; სიგმა — სპარტა 0:2; ბანიკი — ბუდეიოვიცე 5:1; პლზენი — იაბლონეცი 1:0; სლავია — ზლინი 2:1; სლოვაცკო — პრჟიბრამი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 29 | 17 | 8 | 4 | 39:20 | 59 |
| ლიბერეცი | 29 | 16 | 10 | 3 | 44:18 | 58 |
| სლავია | 29 | 16 | 7 | 6 | 42:22 | 55 |
| ბოლესლავი | 29 | 16 | 7 | 6 | 44:27 | 55 |
| პლზენი | 29 | 12 | 9 | 8 | 34:28 | 45 |
| ბანიკი | 29 | 11 | 10 | 8 | 40:32 | 43 |
| ბრნო | 29 | 12 | 7 | 10 | 34:32 | 43 |
| ტეპლიცე | 29 | 11 | 9 | 9 | 43:37 | 42 |
| იაბლონეცი | 29 | 8 | 11 | 10 | 28:31 | 35 |
| ბუდეიოვიცე | 29 | 9 | 7 | 13 | 27:44 | 34 |
| მოსტი | 29 | 5 | 16 | 8 | 31:36 | 31 |
| კლადნო | 29 | 7 | 9 | 13 | 22:35 | 30 |
| ზლინი | 29 | 5 | 11 | 13 | 20:33 | 26 |
| სიგმა | 29 | 6 | 7 | 16 | 28:42 | 25 |
| პრჟიბრამი | 29 | 3 | 12 | 14 | 15:36 | 21 |
| სლოვაცკო | 29 | 3 | 10 | 16 | 19:37 | 19 |

## ისლანდია

### პრემიერდივიზიონი
### II ტური

კოპავოგური 1:0 აკრანესი

## შვედეთი

### ალსვენსკა. VII ტური

აიკ 1:1 ჰალმსტადი

გაის 0:3 კალმარი

ტრელებორგი 0:3 იურგორდენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| მალმიო | 7 | 3 | 3 | 1 | 10:5 | 12 |
| გიოტებორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| ჰამარბი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:4 | 11 |
| ჰალმსტადი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| გეფლე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | 11 |
| იურგორდენი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:6 | 10 |
| ელფსბორგი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 10 |
| აიკ | 7 | 3 | 1 | 3 | 6:8 | 10 |
| გაის | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 |
| იორებრო | 7 | 1 | 4 | 2 | 5:8 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| ბრომაპოიკარნა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | 5 |
| ტრელებორგი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. VI ტური

მიუპა 1:0 კტპ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 6 | 4 | 1 | 1 | 8:6 | 13 |
| ჰაკა | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| მიუპა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ლაჰტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| ჰიკ | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 |
| ტურკუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| ჰონკა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| იარო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ოულუ | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| კტპ | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 7 |
| ინტერი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:7 | 5 |
| ვიიკინგიტი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| მარიეჰამნი | 6 | 0 | 4 | 2 | 3:6 | 4 |
| ვაასა | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | 3 |

# ჭკვიანი ეშმაკი

## ჩემზე ცუდის მთქმელებს რა ვუთხარი...



**ფრანჩესკო ტოტიმ** განაცხადა, რომ დასამტკიცებელი არავისთან არაფერი აქვს, იტალიის ნაკრებს ერთგულება შარშან უკვე დავუმტკიცეო.

შეგახსენებთ, რომ „რომას“ კაპიტანი „სკუადრა აძურაში“ მუნდიალის მოგების მერე აღარ თამაშობს, როცა დრო მოვა, მერე დავბრუნდებიო. ამის გამო, ტოტის ძალიან ბევრი აკრიტიკებს.

ტოტის დაბრუნების დრო კი ალბათ სექტემბერში მოვა, მას მერე, რაც ფეხიდან პლატინის ფირფიტას ამოუღებენ, რომელიც შარშან თებერვალში ჩაუდგეს.

„თუ რამდენს ნიშნავს ჩემთვის ნაკრები, მგონი, უკვე დავამტკიცე და, წესით, ეს საკმარისი უნდა იყოს. ისეთი სერიოზული ტრავმის მერე ალბათ ვერანაირად მოვმჯობინდებოდი ორთვენახევარში, ეს ძალიან რომ არ მდომებოდა. შემეძლო, არ გამერისკა, სახლში დავრჩენილიყავი და მწყობრში ჩადგომამდე მშვიდად დამესვენა. ამის ნაცვლად, თავდაუზოგავად ვიშრომე და ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მწვრთნელის განკარგულებაში ვყოფილიყავი, რომელსაც ასევე ძალიან სურდა ჩემი ნაკრებში ხილვა. თანამემამულეებიც მამხნევებდნენ და გვერდით მედგნენ. „სკუადრა აძურა“ ბრწყინვალედ შეკრული გუნდია. მუნდიალის გამოტოვებას ნამდვილად ვერ დავუშვებდი“ — აღნიშნა ტოტიმ.

„რომასა“ და იტალიის მეათე ნომერი საკლუბო 200-გოლიან ნიშნულს უკვე ასცდა. მიმდინარე სერია A-ს დასრულებამდე ერთი ტურით ადრე 24 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია და „ოქროს ბუცის“ მოგების რეალური შანსიც აქვს.

„ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა და ზედმეტი კომენტარები საჭირო აღარ არის. ციფრები ჩემს მაგივრად საუბრობენ. სწორედ ამიტომ არ ვაქცევ ჩემს კრიტიკოსებს ყურადღებას და დისკუსიებში არ ვერთვები. ყველას მინდორზე, თამაშით ვპასუხობ. ჩემი საუკეთესო გოლი? გამორჩევა ძალიან ძნელია. შესაძლოა, ეს „სან სიროზე“ „ინტერის“ კარში გატანილი გოლია, როცა ბურთი მეტოქის მცველებსა და მეკარეს ლამაზად გადავატარე თავზე. ამას არავინ ელოდა და, როცა ასეთი გოლი გაგაქვს, გრძნობ, რომ მეტოქეებზე ჭკვიანი და ეშმაკი ხარ“ — დასძინა ტოტიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# იუვემ სკუდეტოზე მეტი მოიგო: სახლში დაბრუნდა

**ტურინის** „იუვენტუსი“ უკვე სერია A-შია და ახლა მთელ ყურადღებას მომავალი სეზონისთვის მომზადებაზე და სატრანსფერო ბაზარზე გადაიტანს, მაგრამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვაა დარჩენილი — იქნება თუ არა „ბიანკონერის“ მწვრთნელი ისევ დიდიე დეშანი?

ამ მხრივ ვითარება ბუნდოვანია. ფრანგმა სპეციალისტმა ცოტა ხნის წინ აღნიშნა, გუნდში თავს ცოტა უცნაურად ვგრძნობ და არ ვიცი, მომავალში რა იქნებაო. ამას კი „იუვენტუსის“ სატრანსფერო პოლიტიკის კრიტიკა მოაყოლა...



ჯოვანი კობოლი ჯილი

„დეშანი ნამდვილად დარჩება გუნდში, ამაში ეჭვი არასოდეს მეპარებოდა. სერია A-ს საგზური ჩვენი 300-დღიანი დიდი შრომის შედეგია. შარშან ზაფხულს სერია C-ში აღმოჩენის საფრთხის წინაშეც კი ვიყავით, მაგრამ ახლა უკვე სერია A-ში ვართ. მომავალი სეზონისთვის მზადებას უკვე ვიწყებთ და მჯერა, ძლიერი გუნდი გვეყოლება. შემადგენლობის გაძლიერებაზე ჟან-კლოდ ბლანი და ალესიო სეკო იზრუნებენ, რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ისედაც გვყავს, მაგალითად, კლაუდიო მარკიზიო. საბედნიეროდ, სასამართლოები და პროკურატურა უკან მოვიტოვეთ, ისედაც იმაზე მეტად დავისაჯეთ, ვიდრე გვეკუთვნოდა“ — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

როგორც ჩანს, დეშანის დარჩენაში ასე დარწმუნებული არ არის „იუვეს“ დირექტორი ბლანი, როცა მას კითხვა დაუსვეს, ძალიან ზოგადად უპასუხა და სხვა თემაზე გადაერთო...

„ჩვენი პრიორიტეტი სერია A-ს საგზურის მოპოვება იყო და, როგორც იქნა, სახლში დავბრუნდით. ახლა მომავალზე ფიქრისა და ზრუნვას დავიწყებთ. ოჯახშიც კი არის კამათი და უთანხმოებები, წარმოიდგინეთ, რა იქნება საფეხბურთო კლუბში. ეს ნორმალურია და მთავარია, რომ ყველას გუნდისთვის კარგი გვინდა. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, რათა „იუვენტუსი“ ძველებურად დიდ კლუბად ვაქციოთ“ — აღნიშნა ბლანმა.

„ბიანკონერის“ მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა კი ჯერ კიდევ არ იცის, დარჩება თუ არა „იუვენტუსში“ თუმც იტალიური პრესის ცნობით, ჯიჯიმ ჟურნალისტებისთვის გაკეთებულ ერთ-ერთ კომენტარში მინიშნება გააკეთა — არ ვრჩებიო.

„ერთ რამეს გეტყვით, ეს მიღწევა ყოველთვის დარჩება ჩემს და „იუვენტუსის“ ისტორიაში, რადგან სკუდეტოზე მეტი ფასი ჰქონდა. ჩვენ ამ მიღწევას ვუძღვნით ყველა იმ ადამიანს, ვინც დარჩენაში დამარწმუნა. რაც შეეხება მომავალს, არა, ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. ამ საკითხს ხელმძღვანელობასთან ერთ-ორ კვირაში გავარჩევ“ — თქვა ბუფონმა.

**გიორგი ძაძამიძე**

## იუვე ავიდა და ჩივის

**„იუვენტუსის“** აქციონერები ევროკომისიაში ჩივილს აპირებენ სერია B-ში შარშანდელი გაგდების გამო. ამის შესახებ ბელგიელმა ადვოკატმა გრეგორი ერნესმა განაცხადა.

კლუბის ქომაგების და წვრილ აქციონერთა აზრით, მათი გაძევება ადამიანის უფლებათა დარღვევას უტოლდება. ერნესი ლუკ მისონის საადვოკატო ფირმაში მუშაობს, რომელმაც ბოსმანის ცნობილი საქმე მოიგო.

გრეგორ ერნესის თქმით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ საჩივარს ამ კვირაში შეიტანენ.

„იუვენტუსმა“ უკვე მოიპოვა სერია A-ს საგზური.

## რივალდოს ბუნდესლიგა

**გერმანული** მედიის ცნობით, რივალდო, შესაძლოა, „ჰანოვერში“ აღმოჩნდეს. 34 წლის ბრაზილიელი „ოლიმპიაკოსიდან“ წავიდა, მაგრამ კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს.

ფეხბურთელის აგენტს უთქვამს, რივალდო ბუნდესლიგაში თამაშზე თანახმაო.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს „ლოს ანჯელეს გალაქსიც“ ეპატიჟება.

## ბახ! გაიბზარა

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ ვარჯიშმა „ნისან პატრულის“ საქარე მინა შეიწირა. ვარჯიშის ბოლოს მეკარე ელდინ იაკუპოვიჩი კარში დარტყმით ერთობოდა, რომელშიც მისი კოლეგა ალექსეი პოლიაკოვი იდგა. როდოლფო ფლანგიდან აწვდიდა, იაკუპოვიჩი ურტყამდა და ერთხელ ისე ამოცხო ბურთს, რომ ავტოსადგომზე „ნისან პატრულს“ მინას ლეწა და გაბზარა.

ავტომობილი პოლიაკოვისა აღმოჩნდა. ხერბმა იაკუპოვიჩმა თქვა ახალ მუშას მე ვიკისრებო...

## მიდენდროპი დაფასდა

**ბილეფელდის** „არმინიას“ მწვრთნელ ერნსტ მიდენდროპს გარჯა დაუფასეს და კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივეს. 48 წლის მიდენდროპი გუნდში მარტში მივიდა და ბუნდესლიგიდან გავარდნისგან იხსნა.

მის ხელში „არმინიამ“ ცხრიდან ხუთი მატჩი მოიგო და მე-17 ადგილიდან მეთორმეტეზე აიყვანა.

## გავცვალოთ მეგოლეები?

**„ტუტოსპორტის“** ცნობით, ტურინის „იუვენტუსი“ „სევილიას“ ფორვარდების გაცვლას სთავაზობს — ტურინელები უეფას თასის მფლობელისგან ფრედერიკ კანუტს ითხოვენ, სანაცვლოდ კი დავიდ ტრეზეგეს აძლევენ, რომელსაც „იუვედან“ წასვლა უნდა.

„სევილიას“ მალელი ფორვარდი პრიმერადივიზიონის მეგოლეებში 20 გატანილით მეორე ადგილზეა რეალელი რუუდ ვან ნისტლეროის შემდეგ.

## მონტერომ დაასრულა

**„იუვენტუსის“** ყოფილმა ურუგვაელმა ლეგიონერმა პაოლო მონტერომ კარიერა დაასრულა — წერს „კალჩომერკატო“.

36 წლის მცველი ბოლოს ურუგვაის „პენიაროლში“ თამაშობდა და იქ გადაწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა.

ნაკრებში მან 48 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა.

## უდინეზეს უდინე ბოლონიაშია

**მომავალ** სეზონში „უდინეზე“ რამდენიმე საშინაო მატჩს ნეიტრალურ სტადიონზე გამართავს, რადგან საკუთარ „ფრიულიზე“ უსაფრთხოების წესები სათანადოდ დაცული არ არის.

უდინელებს, სავარაუდოდ, 10 შეხვედრის გამართვა მოუწევთ ბოლონიას „სტადიო დალარაზე“ და „უდინეზეს“ მხოლოდ ის ქომაგები დაესწრებიან, რომლებსაც აბონემენტები აქვთ.

## რეკობას რომა

**„ინტერის“** ფორვარდ ალვარო რეკობას „რომაში“ გადასვლა უნდა. მან 10 წელი გაატარა „შავ-ლურჯებში“ და კლუბის გამოცვლას ლამობს, რადგან ამ სეზონში მანჩინის ხელქვეით თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონდა.

— „რომაში“ სიამოვნებით გადავალ — თქვა რეკობამ — ოღონდ ჯერ მასიმო მორატის უნდა ვესაუბრო, ვისთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ „ინტერის“ გარდა იტალიაში სხვა გუნდში ვითამაშებდი, მაგრამ ამ ვითარებაში წასვლა აუცილებელია.

## ტონი არ გაყიდულა

**„ფიორენტინას“** სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ უარყო ცნობა ლუკა ტონის გაყიდვის თაობაზე.

მსოფლიოს ჩემპიონ ფორვარდს, რომელსაც შაბათს მარცხენა ფეხზე ოპერაცია გაუკეთეს, მიუნხენის „ბაიერნს“ უკავშირებდნენ, მაგრამ კორვინომ თქვა: „ტონი არ გაგვიყიდია და არც ერთ კლუბთან მოლაპარაკება არ გვქონია, თუმც არ გამოვრიცხავ, რომ ამ ზაფხულს ჩვენგან წავიდეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 28 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 338 | დერბი-ვესტ ბრომვიჩი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | **ინგლისი. II ლიგა პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 26 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 340 | როვერსი-შრიუსბერი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 22:15 | 25 | აარაუ-სტ.გალენი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:15 | 26 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 22:15 | 27 | სიონი-ლუცერნი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| 22:15 | 29 | თუნი-შაფჰაუზენი | 2.85 | 3.30 | 2.20 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| 22:15 | 30 | ციურიხი-გრასჰოპერი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 21:30 | 37 | შო დე ფონი-კიასო | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 26 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 65 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.25 | 5.10 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.48 |
| 22:00 | 70 | რეალი-დეპორტივო | 1.22 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.62 |
| | | 27 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 64 | ბილბაო-მალიორკა | 1.75 | 3.30 | 4.55 | 1.14 | 1.26 | 1.91 |
| 19:00 | 67 | სელტა-ბეტისი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 68 | ტარაგონა-ატლეტიკო | 4.20 | 3.40 | 1.80 | 1.87 | 1.25 | 1.17 |
| 19:00 | 69 | ოსასუნა-სოსიედადი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 19:00 | 72 | უელვა-ესპანიოლი | 1.85 | 3.30 | 4.20 | 1.18 | 1.28 | 1.84 |
| 19:00 | 73 | რასინგი-ლევანტე | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 23:00 | 74 | სევილია-სარაგოსა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 21:00 | 76 | ვალენსია-ვილიარეალი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | **ჰოლანდია. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 333 | ვიტესი-უტრეხტი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 22:00 | 335 | ექსელსიორი-როზენდალი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 336 | ვალვაიკ-ვენლო | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | 27 მაისი | | | | | | |
| 16:30 | 334 | აიაქსი-ალკმაარი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 157 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.37 | 4.30 | 8.00 | 1.03 | 1.16 | 2.79 |
| 21:00 | 158 | ჰორსენსი-ვეილე | 2.05 | 3.40 | 3.15 | 1.27 | 1.24 | 1.63 |
| 21:00 | 159 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 160 | ნორდსიელანდი-რანდერსი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 21:00 | 161 | ოდენსე-ვიბორგი | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 21:00 | 162 | სილკებორგი-ბრიონდბიუ | 4.40 | 3.40 | 1.75 | 1.91 | 1.25 | 1.15 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 169 | ბრაბრანდი-აკადემისკი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 21:00 | 170 | ფრედერისია-ორჰუსი ფრ | 1.40 | 4.30 | 5.80 | 1.05 | 1.12 | 2.46 |
| 21:00 | 171 | ფრემადი-ფრემი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 21:00 | 172 | კოგე-ორჰუსი | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |
| 21:00 | 173 | ლიუნგბიუ-ჰელერუპი | 1.20 | 5.40 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.37 |
| 21:00 | 174 | ნესტვედი-იოლსტიკე | 1.65 | 3.50 | 4.20 | 1.12 | 1.18 | 1.90 |
| 21:00 | 175 | სიონდერიისკე-ჰერფიოლგე | 1.75 | 3.40 | 3.85 | 1.15 | 1.20 | 1.80 |
| 21:00 | 176 | ტისტედი-კოლდინგი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 217 | იორგრიტე-ჰეკენი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 225 | ოულუ-ტურკუ | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 19:30 | 226 | ჰაკ-ტამპერე | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 19:30 | 227 | იარო-ჰონკა | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 228 | ჰაკა-მიუპა | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:30 | 229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 291 | მილანი-ლივერპული | 2.30 | 3.00 | 3.20 | 1.30 | 1.33 | 1.54 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | 26 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 293 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1.27 | 4.60 | 11.00 | 1.00 | 1.13 | 3.24 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 14:00 | 302 | ნიიგატა-ნაგოია | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 14:00 | 303 | კაშივა-იოკოჰამა ფმ | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 14:00 | 304 | კოფუ-კაშიმა | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| 14:00 | 305 | ოიტა-ივატა | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 14:00 | 306 | ჰიროსიმა-ოზაკარა | 1.82 | 3.20 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.71 |
| 14:00 | 307 | შიმიცუ-ომია | 1.70 | 3.40 | 3.95 | 1.13 | 1.18 | 1.82 |
| 14:00 | 308 | კობე-გამბა | 3.50 | 3.30 | 1.80 | 1.69 | 1.18 | 1.16 |
| 14:00 | 309 | იოკოჰამა ფკ-ტოკიო | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 297 | იოსტერსი-იორებრო | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 298 | ლანდსკრონა-მალმიო | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 21:00 | 300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | 23 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 319 | გრემიო-დეფენსორი | 1.32 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.12 | 2.73 |
| 23:45 | 320 | სანტოსი-ამერიკა | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | 24 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 330 | რეალი-ვალენსია | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| | | 25 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 327 | ხუვენტუდი-აუნკაბლე | 1.25 | 12.00 | 3.30 | 1.13 | 1.00 | 2.58 |
| 22:30 | 328 | ტაუ-უნიკახა | 1.12 | 12.00 | 5.20 | 1.02 | 1.00 | 3.62 |
| 22:30 | 329 | ბარსელონა-ხირონა | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10225 | ოულუ-ტურკუ | 3.10 | 2.00 | 2.75 | 1.21 | 1.45 | 1.15 |
| 10226 | ჰაკ-ტამპერე | 2.60 | 2.00 | 3.35 | 1.13 | 1.46 | 1.25 |
| 10227 | იარო-ჰონკა | 3.35 | 2.00 | 2.50 | 1.25 | 1.43 | 1.11 |
| 10228 | ჰაკა-მიუპა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 1.85 | 2.30 | 5.00 | 1.02 | 1.35 | 1.57 |
| 10291 | მილანი-ლივერპული | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10297 | იოსტერსი-იორებრო | 3.20 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.46 | 1.14 |
| 10298 | ლანდსკრონა-მალმიო | 5.50 | 2.10 | 2.05 | 1.51 | 1.49 | 1.03 |
| 10300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 3.35 | 2.00 | 2.90 | 1.25 | 1.55 | 1.18 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11225 | ოულუ-ტურკუ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11226 | ჰაკ-ტამპერე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11227 | იარო-ჰონკა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11228 | ჰაკა-მიუპა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11291 | მილანი-ლივერპული | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11297 | იოსტერსი-იორებრო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11298 | ლანდსკრონა-მალმიო | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12225 | ოულუ-ტურკუ | 1.70 | 1.90 |
| 12226 | ჰაკ-ტამპერე | 1.70 | 1.90 |
| 12227 | იარო-ჰონკა | 1.90 | 1.70 |
| 12228 | ჰაკა-მიუპა | 1.70 | 1.90 |
| 12229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 1.90 | 1.70 |
| 12291 | მილანი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |
| 12297 | იოსტერსი-იორებრო | 1.70 | 1.90 |
| 12298 | ლანდსკრონა-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 12300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13225 | ოულუ-ტურკუ | 1.70 | 1.90 |
| 13226 | ჰაკ-ტამპერე | 1.70 | 1.90 |
| 13227 | იარო-ჰონკა | 1.70 | 1.90 |
| 13228 | ჰაკა-მიუპა | 1.90 | 1.70 |
| 13229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 1.90 | 1.70 |
| 13291 | მილანი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13297 | იოსტერსი-იორებრო | 1.70 | 1.90 |
| 13298 | ლანდსკრონა-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 13300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14225 | ოულუ-ტურკუ | 2.00 | 1.80 |
| 14226 | ჰაკ-ტამპერე | 1.80 | 2.00 |
| 14227 | იარო-ჰონკა | 2.10 | 1.75 |
| 14228 | ჰაკა-მიუპა | 1.75 | 2.10 |
| 14229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 1.30 | 2.50 |
| 14291 | მილანი-ლივერპული | 1.80 | 2.00 |
| 14297 | იოსტერსი-იორებრო | 2.00 | 1.80 |
| 14298 | ლანდსკრონა-მალმიო | 2.50 | 1.30 |
| 14300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 2.00 | 1.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15225 | ოულუ-ტურკუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15226 | ჰაკ-ტამპერე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15227 | იარო-ჰონკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | ჰაკა-მიუპა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | მილანი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | იოსტერსი-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | ლანდსკრონა-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16225 | ოულუ-ტურკუ | 1.85 | 1.80 |
| 16226 | ჰაკ-ტამპერე | 1.55 | 2.20 |
| 16227 | იარო-ჰონკა | 2.05 | 1.65 |
| 16228 | ჰაკა-მიუპა | 1.50 | 2.30 |
| 16229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 1.17 | 4.10 |
| 16291 | მილანი-ლივერპული | 1.55 | 2.15 |
| 16297 | იოსტერსი-იორებრო | 1.95 | 1.65 |
| 16298 | ლანდსკრონა-მალმიო | 3.60 | 1.24 |
| 16300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1.80 | 1.80 |

### გოლი:წყვილი-ით კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17225 | ოულუ-ტურკუ | 1.85 | 1.95 |
| 17226 | ჰაკ-ტამპერე | 1.85 | 1.95 |
| 17227 | იარო-ჰონკა | 1.85 | 1.95 |
| 17228 | ჰაკა-მიუპა | 1.85 | 1.95 |
| 17229 | ინტერი-ვიაკინგიტი | 1.85 | 1.95 |
| 17291 | მილანი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17297 | იოსტერსი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17298 | ლანდსკრონა-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17300 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |

### რომელი გუნდი მოიპოვებს თასს

| | | | |
|---|---|---|---|
| 18291 | მილანი-ლივერპული | 1.55 | 2.15 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავიამშენის ჯიბე ჩემპიონობას ვერ გასწვდა
## ლევან მოსეშვილი მაინც კმაყოფილია



**ფინალური** სერიის მესამე მატჩში დამარცხებისა და ჩემპიონობის დაკარგვის შემდეგ „ავიამშენის" გამოცდილი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი სათადარიგო სკამზე იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და რუსთაველთა სიხარულს უყურებდა. შარშან ამ დროს ის და მისი გუნდი ხარობდა, მაგრამ ჩემპიონობის მოპოვებაზე ძნელი მისი შენარჩუნება ყოფილა. „ავიამშენის" შარშანდელი შემადგენლობიდან წლეულს სამმა მოთამაშემ იჩემპიონა „აზოტში". მოსეშვილმა ვერ შეინარჩუნა გუნდის ლიდერები — კოტე ტულუში და გიორგი მარკოიშვილი — რაც, ცხადია, დალხენილი ცხოვრების გამო არ მომხდარა. რაღა თქმა უნდა, რომ ქართული გუნდებიდან ყველაზე დიდი დაფინანსება რუსთაველებს ჰქონდათ და *ლევან მოსეშვილმაც* წარუმატებლობის მთავარ მიზეზად სწორედ თხელი ჯიბე დაასახელა.

— წაგება არაერთი მიზეზის ერთობლიობამ განაპირობა, რომელთაგან უმთავრესი შემადგენლობა და მისი მზადყოფნა იყო. ჩვენ არ გვყოლია „აზოტის" მსგავსად დაბალანსებული გუნდი, რაც, ცხადია, მცირე ფინანსების ბრალი იყო. ჩვენ რომ სათანადო შესაძლებლობა გვქონოდა, ვიცით, რომელ მოთამაშეებით გავძლიერდებოდით, მაგრამ სხვა საქმე იყო მოთამაშეთა მზადყოფნა. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდის კაპიტანსა და ლიდერ ირაკლი ხოშტარიას მამა ნახევარფინალის წინ გარდაეცვალა და თითქმის 2 კვირა უვარჯიშებელი იყო. მის გარეშე თსუ კი დავამარცხეთ, მაგრამ "აზოტთან" ძალები აღარ გაგვწვდა. ხოშტარია ფორმაში არ იყო და მთლიან გუნდსაც აკლდა მომზადება. ჯერ ერთი, სრული შემადგენლობით წავედით რაიონში ჩვენი კაპიტნის მისასამძიმრებლად, მაგრამ თუ ამ საქმისთვის ერთი დღე დავკარგეთ, ვერის ბაღში მოცეკვავეთა შეჯიბრის გამო რამდენიმე დღე გაგვიცდა. ფინალური სერიის წინ ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სრულფასოვანი ვარჯიში ჩავატარეთ, რაც თავისთავად არანორმალური ფაქტი გახლდათ.

— გამარჯვებულის ბედი ფაქტობრივად პირველი ფინალური შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, როცა „აზოტმა" რუსთავში დაძაბულ ბრძოლაში იძალა. ჩვენ ყველაზე კარგად სწორედ იმ მატჩში ვითამაშეთ, ბოლო მეოთხედამდე ვუძალიანდებოდით მასპინძლებს, მაგრამ მაინც ვერ გავიმარჯვეთ...

— საერთოდ, ბევრი გუნდისთვის საპლეიოფო სერიაში პირველ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს — ზოგს შინ ურჩევნია თამაში, ზოგს გასვლაზე. მე მაინც ვფიქრობ, რომ ჯობს, შინ ითამაშო და ამისთვის საჭირო იყო, რეგულარულ ჩემპიონატში გამარჯვება, რაც ვერ მოვახერხეთ...

— რაც შეეხება სერიის ბოლო მატჩს, აშკარად ჩავაგდეთ. რუსთავში 2 მატჩის წაგების შემდეგ ჩვენი ჩემპიონობა ფანტასტიკის სფეროში გადავიდა. ჯერ ორივე თბილისური შეხვედრა უნდა მოგვეგო, სერიაში ანგარიში გაგვეთანაბრებინა და მერე რუსთავშიც დაგვემარცხებინა „აზოტი". ეს თითქმის შეუძლებელი იყო ამ პირობებში, როცა გუნდი არც სათანადოდ იყო დაკომპლექტებული და არც მომზადებული. შესაბამისად, ძნელი გახდა მოთამაშეთა საბრძოლოდ მომართვა. თანაც შეხვედრა ისე დაიწყო, ჩვენ არაფერი გამოგვდიოდა, რუსთაველებს კი ყველაფერი. დაცვას თავი დავანებოთ, ვერც შორიდან ჩავაგდეთ და ვერც გარღვევების ორგანიზება მოვახერხეთ. „აზოტი" რეალურად ჩვენზე ძლიერია და ეს მესამე თამაში რომც მოგვეგო, ამით ალბათ არაფერი შეიცვლებოდა. ეგაა, ფინალური სერია ცოტა გაგრძელდებოდა...

— გასული სეზონით მაინც კმაყოფილი ვარ. მართალია, ფინალი წავაგეთ, მაგრამ იქ გასვლაც საკმაოდ კარგი შედეგია. თსუ-ს მე „აზოტზე" არანაკლებ ძლიერ მეტოქედ მივიჩნევდი, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ნახევარფინალში ამ გუნდს საკმაოდ იოლად მოვუგეთ. და მთავარი: „ავიამშენმა" მოიგო თასი, ფინალში კი სწორედ "აზოტი" დავამარცხეთ. რუსთაველებს 27 მაისს კიდევ ვხვდებით სუპერთასზე და ვეცდებით, ჩემპიონატის ფინალში დამარცხება ვაზღვევინოთ...

**ირაკლი ბერტაია**

# ქსეროქსზე გადაღებული მატჩი
## ცინცაძე ფინალში დაწინაურდა



**ფინალური** სერიის პირველივე შინაურ მატჩში დაკარგული მოედნის უპირატესობა ტარტუს „როკმა" გუშინწინ დაიბრუნა. გიორგი ცინცაძის გუნდმა ესტონეთის ჩემპიონატის პირველ ფინალურ ჯახში დამარცხების შემდეგ ჯერ ანგარიში გაათანაბრა და ახლა სტუმრად, ტალინშიც დაამარცხა „კალევი" და სერიაში 2:1 დაწინაურდა.

წინამორბედისა არ იყოს, ეს მატჩიც ძალიან დაძაბული გამოდგა და თან საოცარი დამთხვევაც აღინიშნა: „როკერებმა" ამჯერადაც 75:74 მოიგეს, ისევე როგორც ფინალური სერიის წინა შეხვედრა. ანგარიშის გარდა ამ თამაშს ის მსგავსებაც ჰქონდა, რომ ტარტუელები აგებდნენ და ბოლო მეოთხედში თავგამოდებით გამოჰგლიჯეს მეტოქეს გამარჯვება.

კიდევ ერთი მსგავსება: „როკის" ქართველმა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ ამ თითო ქულით მოგებულ ორივე შეხვედრაში 9 ქულა და 3 მოხსნა გააკეთა. მან 26 წუთი გაატარა მოედანზე და 4 ორიანიდან 3 ჩააგდო, ხოლო 3 შორი სროლიდან 1 გამოიყენა. გიოს ანგარიშზეა ასევე 3 პასი, რაც თანაგუნდელ გერტ კულამდეს შედეგთან ერთად საუკეთესო მაჩვენებელია ამ მატჩში.

სერიის მომდევნო შეხვედრაც ტალინში გაიმართება 24 მაისს, რის შემდეგაც ბრძოლა ისევ ტარტუში გადაინაცვლებს. ჩემპიონობა 4 გამარჯვებამდეა.

**ირაკლი ბერტაია**

PLAYOFFS 2007

21 მაისი

# აღმოსავლეთის ფინალი

## დეტროიტი 1:0 კლივლენდი

**დეტროიტი 79:76 კლივლენდი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (13), ჰამილტონი (24), პრინსი (8 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ვოლესი (15 ქულა, 12 მოხსნა, 7 დაფარება) ვებერი (10); დევისი (5), მაკდაიესი (2), ჰანტერი (2), მაქსიელი, დელფინო

**კლივლენდი:** პავლოვიჩი (9), ჰიუზი (13), ჯეიმსი (10 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), გუდენი (6), ილგაუსკასი (22 ქულა, 13 მოხსნა); ვარეჯაო (13), მარშალი (2), სნოუ (1), გიბსონი



ლებრონ ჯეიმსის პასებმა ტაიშონ პრინსის „დეტროიტი" ვერ გაჰრა

AFP

# ლებრონს დეტროიტი ემძიმა

კი ამბობდა, „დეტროიტს" მომზადებულები ვხვდებითო, მაგრამ ლებრონ ჯეიმსს არ გამოუვიდა აღმოსავლეთის ყველაზე წონიან გუნდთან პირველი მისვლა. „კლივლენდის" 22 წლის სუპერვარსკვლავმა 15 ტყორცნიდან მხოლოდ 5 ჩააგდო და 10 ქულით შემოიფარგლა. თუმცა კი სხვა მხრივ, დიდად ასარგებლა თავისი გუნდი — მხოლოდ ერთი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

ჯეიმსს დეტროიტელთაგან ტაიშონ პრინსი დასდევდა, თანაც, როცა „კლივლენდის" ლიდერი სროლას დააპირებდა, პრინსს კიდევ ერთი თანაგუნდელი ეხმარებოდა. ნამატჩევ კომენტარებში ჟურნალისტებმა მაინც ვერ დასტყუეს ლებრონს თავისი თავის უკმაყოფილო გამონათქვამები. ჩემი მიზანი ბევრი ქულის მოგროვება კი არა, გუნდის დახმარება და მისი მოგებამდე მიყვანა იყო, რაც თითქმის შევძელიო — ამას ამბობდა კლივლენდელი სთარბოი.

თამაში მართლაც დაძაბული გამოვიდა. ბოლო წამებზე 78:76 ანგარიშზე მოწინააღმდეგეებით გარშემორტყმულმა ლებრონმა სროლა ვერ მოახერხა, მაგრამ სამქულიან ხაზთან მარტოდმარტო ჩასაფრებული დონიელ მარშალი იპოვა. ამას წინა შეხვედრაში „ნიუ ჯერსისთვის" ექვსი სამქულიანი ჩაეგდო, მაგრამ ახლა ააცილა და თავის გუნდს მოგების შანსი დაუკარგა. ბურთი „დეტროიტის" გამთამაშებელმა ჩონსი ბილაფსმა მოხსნა და ორიდან ერთი ჯარიმით ანგარიშს წერტილი დაუსვა.

**კოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## საფრანგეთისკენ

# ძველი ჰუკერი შორს იყურება

## აქვსენტი გიორგაძე ნაკრებიდან წასვლას არ აპირებს

„ნაკრებიდან წასვლას არც წლევანდელი მსოფლიოს თასის შემდეგ ვაპირებ და არაც უახლოეს ორ-სამ წელიწადში" — გვითხრა საქართველოს ნაკრების მორკინალმა აქვსენტი გიორგაძემ, სარუბრიკოდ საფრანგეთში რომ დავუკავშირდით. 30 წლის აქვსენტი გიორგაძე ახლა ელიტარულ ფრანგულ კლუბ „კასტრში" რაგბობს. საქართველოს ნაკრებში კი 46-ჯერ უთამაშია და 9 ლელოც გაუტანია. როდესაც ფრანგი კლოდ სორელი ჩვენს „ლელოებს" წვრთნიდა, აქვსენტი გიორგაძეს შერკინების ტვინი უწოდა. უიმისოდ კი ქართველებს შერკინებაშიც უჭირთ და აუტებშიც, რადგან გიორგაძისნაირი მომწოდებელი დღემდე არ ჰყავთ...



— როგორც ვიცოდით, წლევანდელი მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერას ასრულებდი.

— არა, მსგავსი არაფერი გადამიწყვეტია. კლუბში მკითხეს, როდის ვაპირებდი ნაკრებში თამაშზე უარის თქმას. მეც ვუპასუხე, მსოფლიოს თასის შემდეგ მნიშვნელოვან მატჩებში ვითამაშებ, დანარჩენ დროს კი მთლიანად კლუბს დავუთმობ-მეთქი. ეს იყო და ეს. მგონი, ჯერ ისე არ დავბერებულვარ, რომ სამი-ოთხი წელი მაინც, ნაკრებს ვერ გამოვადგე. უბრალოდ, ყველა მატჩში ვერ ვითამაშებ.

— მნიშვნელოვან მატჩებში რომელს გულისხმობ?

— რუმინეთთან ყოველთვის პრინციპული და მნიშვნელოვანი ჯახები გვაქვს, ასევე რუსეთთან, რომელიც ახლა კლოდ სორელის ხელში, მართლაც, პროგრესირებს და გაისად და მერეც ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. ასევეა პორტუგალიაც. ერთი სიტყვით, როდესაც საქართველოს ნაკრებს მნიშვნელოვანი მატჩი ექნება, მეც ბიჭებთან ერთად ვიქნები. ერთიცაა, მომავალი ორი სეზონი არ იქნება 2011 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი და ბევრიც არაფერი გაფუჭდება, თუ არ ვითამაშებ. მერე ნაკრებს აუცილებლად დავეხმარები და მწვრთნელების გადასაწყვეტი იქნება, წავალ თუ არა მესამე მსოფლიო თასზე. ისე, იმ დროისთვის უკვე 34 წლის ვიქნები.

— შენს არყოფნაში ნაკრებს ჰუკერის პრობლემა აქვს. ვის მიიჩნევ შემცვლელად?

— ამ პოზიციაზე ახლა ყველაზე უკეთ დავით დადუნაშვილი თამაშობს. მართლაც პერსპექტიული მორაგბეა, თუმც რაღა პერსპექტიული, როცა წინა მსოფლიოს თასზე ითამაშა და ჩვენი ერთადერთი ლელოც მან გაიტანა. ერთი მხრივ კარგია, რომ ამ ბიჭს ნაკრებში თამაშის მეტი პრაქტიკა ექნება, გუნდს თანდათან შეეჩვევა და მეტ გამოცდილებასაც შეიძენს.

— ივნისში რუმინეთში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, სადაც ნამიბიაც ითამაშებს, რომელიც მსოფლიოს თასზე საქართველოს მეტოქეა.

— ამ ტურნირზე ტრავმის გამო ვერ ვითამაშებ. საფრანგეთის ჩემპიონატში მეტოქის მუხლი მომხვდა თავში და გამოკვლევამ აჩვენა, რომ ერთი თვე მაინც უნდა დავისვენო.

— როგორ ფიქრობ, წინა მსოფლიოს თასისგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრები მზად არის ერთი მატჩის მოსაგებად?

— ასეთი მეტოქე სწორედ ნამიბიაა, რომელსაც აუცილებლად უნდა მოვუგოთ. წინა მსოფლიოს თასზე ურუგვაისთან გამარჯვება იყო ჩვენი მინიმუმიც და მაქსიმუმიც, მაგრამ ეს ვერ შევძელით.

— რატომ?

— ყველა პრობლემამ ერთად იჩინა თავი. გუნდში შიდა დაპირისპირება იყო, თანაც მარტო ჩვენ, მორაგბეები კი არა, კლოდ სორელიც პირველად იყო მსოფლიოს თასზე და გამოუცდელობით „ავიჭერით". კალენდარიც არ იყო საჩვენო. ახლა კი ყველაფერი პირიქითაა, გუნდში ერთსულოვნებაა. ერთი სიტყვით, ნამიბიასაც მოვუგებთ და წლეულს ბევრად უკეთესად ვითამაშებთ, ვიდრე წინა მსოფლიოს თასზე.

**ბაჩო სვანიძე**

სუმო

# სამაისო მინუსი

## ამინისიკიმ ხაკუხო გაახარა და მაყურებელი გაახალისა



**მაისის** ბაშოს ფინიშამდე ხუთი ტურით ადრე ლევან ცაგურიამ მერვე მარცხი იწვნია. და მომავალი ბაშოსთვის სარეიტინგო ცხრილში დაღმასვლა აქედანვე გაინაღდა. უარყოფითი ბალანსი მინუს ექვს ქულამდე კოკაის პატარა ტანკად წოდებულმა ტაკეკაძემ გაუზარდა. კოკუგიკანური ბაშოს დარჩენილ მესამედში ჩვენებურს მაქსიმალური ქულების დაგროვება მართებს, აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირობიდან შედარებით ნაკლებად რომ დაიხიოს უკან. დღეს „შავი ზღვა" უმაღლეს დივიზიონ მაკუტის უდაბლეს სეკიტორს — 168-სანტიმეტრიან ტოინოსიმას დაეჭიდება.

იმპერატორის თასის უმთავრეს ფავორიტთა დუეტს კი გუშინ ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი იოკოძუნა ასასიორუ გამოაკლდა. თასის 20-გზის ამწევმა მონღოლმა „ცისფერმა დრაკონმა" აღმოსავლეთის მეოთხე მაეგაშირა ამინისიკისთან წაიფორთხილა და გაიოკოძუნების რეალურ კანდიდატს, თანამემამულე ხაკუხოს ზედიზედ მეორედ გაჩემპიონების შანსი უბოძა.

ბრძოლა თავიდანვე ამინისიკის უპირატესობით დაიწყო. რიგითი მაეგაშირა მრისხანე მეტოქეს ქამარში ეცა და დოჰიოდან ისე გადაუძახა, ამოსუნთქვა არ აცალა. მაყურებლებმაც ტრადიცია არ დაარღვიეს და იოკოძუნას მომგებს სავარძლებზე დაფენილი სპეციალური ბალიშები დაუშინეს, პატივისცემის ნიშნად.

ასასიორუს მარცხამდე თხუთმეტი წუთით ადრე ხაკუხომ 20 წლის ტოჩიოძანი დაჩაგრა და იმპერატორის თასთან ერთად იოკოძუნას ტიტულსაც ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ათი ტურის შემდეგ ხაკუხოს ანგარიშზე ათი ქულაა. მის ზურგსუკან ყველაზე ახლოს ცხრაქულიანი ასასიორუ, სეკივაკე კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები ასასეკირიუ და ფუტენო დგანან. დღეს ლიდერი ოძეკის წაუგებელი სერიის შეწყვეტას ვეტერანი ოძეკი კაიო შეეცდება. ტურის ცენტრალურ, დასკვნით შეხვედრაში კი იოკოძუნა სეკივაკე კოტომიცუკის პირისპირ დადგება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კრივი

# სამი მედალიც საქმეა

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრები პრაღის საერთაშორისო ტურნირიდან მედლებით დაბრუნდა. ეროვნულის თავკაცმა ავთანდილ შოშიაშვილმა ჩეხეთში არასრული გუნდი, მხოლოდ რვა შეგირდი ჩაიყვანა და აქედან სამი საპრიზო ადგილზე გავიდა. კახა ჟვანიამ (69კგ) და ბექა ლობჟანიძემ (+91კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს, გიორგი ნაკანმა (75კგ) — ბრინჯაოსი.

„ძალიან ძლიერ ტურნირზე ასეთი შედეგიანი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. თავად განსაჯეთ, ჩეხეთში 22 ქვეყნის ნაკრები ჩამოვიდა. აქედან ექვსი უძლიერესი შემადგენლობით. მათ შორის აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ავსტრალია. ზოგიერთ დელეგაციას კი სულაც, თითო წონაში ორი მოკრივე ჰყავდა.

უფრო მეტის მიღწევაც შეიძლებოდა, კენჭისყრაში ოდნავ მეტად რომ გაგვემართლებოდა. ჟვანია კი ფინალში შეგნებულად აღარ გავუშვით რინგზე. მძიმე ბრძოლები გადაიტანა, თან მხარი იტკინა და ტრავმის გართულებას მოვერიდეთ, თორემ გადამწყვეტ შეხვედრაში ყაზახთა მეორე ნომრის ვლადიმერ ულიანოვის ძლევა რეალურად შეეძლო" — გვითხრა გუშინ შოშიაშვილმა.

მწვრთნელისვე სიტყვებით, ნაკრები ოქტომბერში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატამდე, სავარაუდოდ, ერთ ან ორ საერთაშორისო ტურნირზეც გამოვა. უახლოესი შეკრების თაობაზე კი და საქართველოს კრივის ფედერაციის შეფებთან ერთად ამ დღეებში მიიღებს გადაწყვეტილებას.

„მოგეხსენებათ, მსოფლიოს პირველობისთვის სექტემბერში მოსკოვს უნდა ემასპინძლა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ ოქტომბერი და ამერიკის შეერთებული შტატები ირჩია და ჩვენი წინასწარი მოსამზადებელი გეგმაც ამან არია" — დასძინა შოშიაშვილმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# სტამბოლი ნახა და წავიდა

**წლის** მთავარ სათიხნარო ტურნირამდე ხუთიოდე დღე დარჩა. ამიტომაც საჩოგბურთო სამყარო ნელ-ნელა ემზადება ამ დიდი მოვლენისთვის და თანდათანობით გეზს პარიზისკენ იღებს. ამის მიუხედავად, ამ კვირაში მაინც საკმაოდ ტურნირები იმართება მათთვის, ვინც თვლის, რომ თიხნარს ჯერ ვერ შეჩვევიან და ფორმის აკრეფა ესაჭიროებათ. თუმც ბოლოლა ჩოგნის მქნეველების უმრავლესობა ამ კვირას მაინც დასვენებას უთმობს, ზოგი კი უკვე ეწვია პარიზის დედაქალაქს და აკლიმატიზაციას გადის.

კვირის მთავარი მოვლენა დიუსელდროფში მიმდინარე გუნდური მსოფლიო თასია, რომელიც ყოველთვის საკმაოდ საინტერესო საცქერია. რვა ნაკრები ორ ჯგუფშია განაწილებული, რომლებიც ერთმანეთთან შემდეგნაირად არკვევენ ურთიერთობებს — აქ ორი ერთეულთა თანრიგისა და ერთიც წყვილების შეხვედრა იმართება და ის ნაკრები იგებს, ვინც ორ მოგებას აგროვებს. ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ტური მიილია — წითელ ჯგუფში 2003-04 წლების ჩემპიონმა ჩილემ ამერიკელები წააქცია, არგენტინამ კი შვედები დაჩაგრა. ლურჯ ჯგუფში მასპინძლები ადვილად გაუმკლავდნენ ბელგიელებს, ჩეხებმა კი ძალიან დაძაბულ ჯახში დასცეს ესპანელები.

კაცების ნაწილი კი ავსტრიულ პორტშახშია შეკრებილი, სადაც ბობოლებმაც იკადრეს ჩასვლა, თუმც ჯერჯერობით კორტზე გასვლა მხოლოდ ენდი როდიკს მოუწია და მანაც ბლომად იწვალა მასპინძელ ალექსანდერ პეიასთან, მაგრამ შემდეგ წრეში მაინც გააღწია.

ქალები სტამბოლსა და სტრასბურში გადანაწილდნენ. ჩვენ თურქეთში მომხდარი ამბებით დავიწყოთ, სადაც ჩვენთვის ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა — კვალიფიკაციის მშვენივრად გავლის შემდეგ ანა ტატიშვილმა პირველივე შეხვედრა დათმო და სტამბოლსაც დაემშვიდობა. ჩვენებური ბელარუსმა ეკატერინა ძეხალევიჩმა დაამწუხრა.

აი, სტრასბურში ჯერჯერობით საინტერესო არაფერია — იქაურ კორტებზე ჯერ არც ამელი მორესმო და არც ელენა იანკოვიჩი არ გასულან და არც რაიმე სენსაცია მომხდარა.

# ნადალი ფორმაში ყოფილა

**თიხნარზე** მოგებების 81 მატჩიანი სერიის შეწყვეტისა და როჯერ ფედერერთან საკმაოდ უილაჯოდ დამარცხების შემდეგ, რის გამოც მისი საროლანგაროსო შანსები ბევრმა უკვე ეჭვქვეშ დააყენა, რაფაელ ნადალმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ საფრანგეთის ღია პირველობას ისეთ კარგ ფორმაში ხვდება, როგორც არასდროს და პარიზში მხოლოდ გამარჯვებისთვის ჩავა:

„ბოლო ორი წელი „როლან გაროსზე" ცუდად ვთამაშობდი, რადგანაც ორკვირიანი შესვენების შემდეგ, ძნელია კარგად ჩოგნაობა. არადა, ადრე ზუსტად ეს მემართებოდა, რადგანაც ჰამბურგში არ ჩავდიოდი ხოლმე. ჰოდა, ფორმის აკრეფა პარიზში, ტურნირის მიმდინარეობისას მიწევდა. ახლა კი 100 პროცენტით მზად ვიქნები".

ნადალი ასე დარწმუნებული კი არის, მაგრამ სპეციალისტები მაინც ფიქრობენ, რომ ესპანელის მხრიდან ჰამბურგში ჩასვლა დიდი სისულელე იყო, რადგანაც შანსია, რაფამ ფიზიკურად ვერ გაუძლოს ამდენ დატვირთვას. ამის ნიშნები ფედერერთან ფინალის დროსაც ვნახეთ.

აი, ლეიტონ ჰიუიტი კი მიიჩნევს, რომ ნადალი თიხნარზე დაუმარცხებელი ნამდვილად არ არის და თუ თავიდან თანაბრად თამაში შეძელი, მაშინ მოგების შანსები იმატებს:

„ნადალის პრობლემა ის არის, რომ ამ ხანგრძლივი სერიის დროს მას იშვიათად უწევდა ნამდვილი ბრძოლის გატადანა. უმეტეს შემთხვევაში ის ზედმეტად იოლად იგებდა. მაგრამ თუ მას ოდნავ მძიმე მდგომარეობაში მაინც ჩააყენებთ, მაშინ მოგების კარგი შანსი გექნებათ".

მოკლედ, ნადალის ძველებურად აღარ ეშინიათ. მაგრამ უფრო დიდი შანსია, რომ ასეთმა კომენტარებმა ესპანელი ვარსკვალბიჭუნა გაამწაროს... ჰოდა, მერე კი ვნახოთ...

# კლაისტერსის ქუჩა



**ბელგიის** საკურორტო ქალაქ კოკსეიდეს მერი წინადადებით გამოვიდა, რომ ქუჩას, სადაც ქალაქის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს, სახელი გადაარქვან. თეატრალურ მოედანს (ახლა ასე ჰქვია) კიმ კლაისტერსის სახელობის ქუჩით შეცვლიან. იკითხავთ, კლაისტერსი აქ რა შუაშიაო? იმაში, რომ თურმე ამ ქუჩაზე ყოველწლიურად იმართება ტურნირი — Flanders Lady Trophy, რომელიც ბელგიაში გოგონათა არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება. ჰოდა, კლაისტერსს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ განაცხადა სპორტიდან წასვლის შესახებ, ეს ტურნირი 1998 წელს მოუგია.

**ბახა ლომჯუშვილი**



## საქართველოს ჩემპიონატი

### ქალები. სუპერფინალი. დიდი ჯიხაიში. 22 მაისი

# ჯიკოს მეექვსე ტრიუმფი

**ჯიკო 2:1 თბილისი**

**მესამე მატჩი**

**ჯიკო 3:2 თბილისი**

*25:22 25:27 25:9 23:25 15:7*

ჯიკო: არველაძე, ლვინჯილია, დავითულიანი, არაპეტიანი, გეგუჩაძე, იოსებაშვილი, კახაძე, შენგელია, გაბაშვილი, მიქაძე

მწვრთნელი: ნუგზარ მიქაძე

თბილისი: კოროშინაძე, ჭაუჭიძე, მძელური, პაპიძე, ყიფშიძე, ბანძელაძე, ლომიძე, ალიბეგაშვილი, წიქარიშვილი, დანელია

მწვრთნელი: პაატა ულუმბერაშვილი

დაძაბულ ბრძოლაში გამოვლინდა საქართველოს ჩემპიონი ფრენბურთელ ქალთა შორის. შედარებით გამოუცდელმა და მთლიანად თინეიჯერებით დაკომპლექტებულმა „თბილისმა" ტოლი არ დაუდო ახლა უკვე ექვსგზის ჩემპიონ დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს". გამარჯვებული მხოლოდ მეხუთე სეტში გამოვლინდა. ჯიხაიშელებმა საერთო ანგარიშით 3:2 დაამარცხეს თბილისელები და მეექვსედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. დავაზუსტოთ, რომ საქართველოს ფრენბურთის ჩემპიონატების ისტორიაში „ჯიკო" უცვლელი ტრიუმფატორია, მაგრამ წელს აშკარად გაუჭირდა „თბილისთან", რაც მიანიშნებს, რომ გამარჯვებულს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა და მომავალში იქნებ სხვა გუნდიც ვნახოთ საჩემპიონო კვარცხლბეკზე.

**ზურაბ მიგრიაული**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

## კულჰარდს წითელ ხართან დარჩენა სურს



**წლევანდელი** საპირველფორმულო ჩემპიონატის საწყის სამ ეტაპზე ჩავლავების შემდეგ „რედ ბულის" ბრიტანელმა პილოტმა დევიდ კულჰარდმა ესპანეთში ჩინებულად იჯირითა და მეხუთე ადგილით ერთბაშად ოთხი ქულა მოიპოვა.

მომავალ კვირას მონაკოში გასამართი რბოლის წინ ვეტერანი მძღოლი იმედიანადაა: „სასიამოვნოა ჩემპიონატის ოფიციალურ კლასიფიკაციაში საკუთარი გვარის გასწვრივ ქულების ხილვა. ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ სწორ გზაზე ვართ და წარმატებებიც გვექნება. ისე, ბარსელონაში არანაირი ზეიმი არ მოგვიწყვია, ალვნიშნავთ, როცა პოდიუმზე შედგომას შევძლებ."

კულჰარდს მონტე კარლოს ვიწრო, ჩახვეულ გზებზე ორჯერ გაუმარჯვია, თუმც ეს დიდი ხნის წინათ (2000, 2002) იყო, თანაც „რედ ბულზე" უკეთესი, „მაკლარენ-მერსედესის" ბოლიდით.

36 წლის შოტლანდიელი „სამეფო რბოლების" ქარავანში ყველაზე ასაკოვანია და ბევრი თვლის, რომ ეს სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება. ბევრნი, ოღონდ არა თავად დევიდი:

„ცხადია, შემდგომაც „რედ ბულში" დარჩენა მსურს. კარიერის დასრულებას არ ვაპირებ და მინდა ვნახო, როგორ მოვიპოვებთ ერთად წარმატებებს. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი აზრია, გადაწყვეტილებას კი გუნდის ხელმძღვანელობა მიიღებს."

## კიმიმ იახტა იყიდა

**პიოლნის** გაზეთ „ექსპრესის" ინფორმაციით, „ფერარის" ფინელმა პილოტმა კიმი რაიკონენმა ჰელსინკიში ორნახევარ მილიონ ევროდ 22-მეტრიანი იახტა შეიძინა.

„პრინცეს V70" შესაძლოა, უკვე ამ უქმეებზე გამოჩნდეს მონტე კარლოში, თუ ფინეთიდან ჩამოყვანა მოესწრება. მაშინ მოლხენის მოყვარული „ყინულის კაცი" მონაკოური ეტაპის დღეებში თავისუფალ დროს შინაურ პირობებში გაატარებს.

ზოგი სხვა მრბოლელიც და საჯინიბოს ბოსიც ასე იქცევა. ბევრი პილოტი სულაც მუდმივად ცხოვრობს „გართობის ცენტრში", ხოლო დევიდ კულჰარდს იქ საკუთარი სასტუმროც კი აქვს.

## სენას ხსოვნის აუქციონი

**მონაკოური** გრან პრის დღეებში მოეწყობა საქველმოქმედო აუქციონი, რომელიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ აირტონ სენას მონტე კარლოში პირველი გამარჯვების 20 წლისთავს ეძღვნება.

გასაყიდად გამოფენენ ლეგენდარული ბრაზილიელის 1992 წლის ავტოგრაფიან წიგნს, აგრეთვე მრბოლების ჩაფხუტებსა და კომბინიზონებს. მთელი შემოსავალი სენას ბავშვთა ფონდში გადაირიცხება.

„ჯადოქარმა" ჯუჯა სათავადოში 1987-93 წლებში სარეკორდო, ექვსი გამარჯვება მოიპოვა, აქედან ხუთჯერ ზედიზედ.

## შუმახერი ფეხბურთს არ ეშვება

**ესპანური** ეტაპის შემდეგ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მეორედ გამოჩნდება საფორმულო უიქენდზე.

„ფერარის" ბოქსებში ყოფნის გარდა 38 წლის პენსიონერი მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ საქველმოქმედო მატჩში, რომელიც დღეს მონტე კარლოში, ლუი მეორის სახელობის სტადიონზე შედგება. ერთმანეთს შეხვდებიან ფორმულა 1-ის პილოტებისა და მონაკოს პრინც ალბერის მიერ შეკრებილი „ვარსკვლავთა" გუნდები.

შუმახერის გარდა მეფორმულე ფეხბურთელთა შორის იქნებიან ფერნანდო ალონსო, ჯანკარლო ფიზიკელა, ფელიპე მასა, იარნო ტრული, მარკ ვებერი, ანტონიო პიცონია.

## ალონსო თუ რაიკონენი?

**ბრიტანელმა** ბუქმეიკერებმა მონაკოს დიდი პრიზის მოგებაზე თავიანთი კურსი გამოაქვეყნეს.

ყველაზე მაღალი, თანაც ერთნაირი კოეფიციენტი (3,25) მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს და კიმი რაიკონენს აქვთ. წლევანდელი სეზონის ბოლო ორი რბოლის მომგებ ფელიპე მასას შანსი ოდნავ ნაკლებია — 3,75. მეოთხეა სატურნირო ცხრილის სათავეში მდგომი ლუის ჰემილტონი — 5,0.

დღევანდელებიდან დევიდ კულჰარდის (2) გარდა ორლობის სიგანის ქუჩებში თითო გამარჯვება აქვთ ალონსოს, რაიკონენს და იარნო ტრულის.

ჰოკეი

# ჰიტლიმ გრეცკის რეკორდი წაართვა



**ოტაველი** „სენატორები“ პლეი ოფის ფინალში არიან, მეტოქეს ელიან და გუნდის ახალ ისტორიაში პირველი სტენლის თასის მოსაპოვებლად ემზადებიან.

ფინალისკენ სავალ გზაზე „ოტავამ“ „პიტსბურგი“, „ნიუ ჯერსი“ და „ბუფალო“ ჩამოიტოვა და თითოეულთან მხოლოდ თითო მატჩი დათმო. ანუ, ოტაველებმა სამივე სერია ერთნაირი ანგარიში — 4:1 მოიგეს და ფინალში გასასვლელად 15 თამაში იკმარეს.

ოტაველთა წარმატებაში ლომის წილი ჯეისონ სპეცა — დენი ჰიტლი — დანიელ ალფრედსონის დამრტყმელ სამეულს უდევს. ამ სამეულმა ჩატარებულ 15 მატჩში, ჯამში 58 (23+35) ქულა გაკეთა. მიმდინარე პლეი ოფის ბომბარდირთა სიას, სწორედ ეს სამნი ლიდერობენ: ჰიტლის 21 (6+15) ქულა აქვს, სპეცას — 20 (7+13), ხოლო ალფრედსონს — 17 (10+7).

ამას გარდა ჰიტლიმ პლეი ოფის მსვლელობისას თვით დიადი უეინ გრეცკის ერთი რეკორდიც დაამხო. აღმოსავლეთის ფინალში, „ბუფალოსთან“ სერიის მეხუთე, გასვლით მატჩში ჰიტლიმ გოლი და საგოლე პასი მიითვალა და გამოვიდა, რომ მან ზედიზედ მეექვსე გასვლით შეხვედრაში გააკეთა მინიმუმ ერთი ქულა. ეს კი ახალი რეკორდია. ძველი გრეცკის ეკუთვნოდა, ზედიზედ ხუთ შედეგიან გასვლით მატჩს მოიცავდა და 1988 წელს იყო დამყარებული.

19 წლის წინ დიადი უეინის „ედმონტონმა“ სტენლის თასი მოიგო და „სენატორების“ ქომაგებს კარგად ენიშნათ ჰიტლის მიერ გრეცკის მიღწევის დამხობა — იმ „ედმონტონის“ გზაზე ვდგავართ და წლეულს თასი ჩვენი იქნებაო.

ალსანიშნავია, რომ შარშანდელი, ანუ 2005-06 წლების სეზონის დასაწყისში ჰიტლი ახლოს იყო გრეცკის სხვა რეკორდის — სეზონის სტარტზე ზედიზედ ჩატარებული შედეგიანი მატჩების სერიის დამხობამდე, მაგრამ რაღაც ორიოდე მატჩი დააკლდა და დიადს ის რეკორდი შერჩა.

ამჯერად ჰიტლიმ თავისი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

ველორბოლა

## 90-ე ჯირო დიტალია 12 მაისი — 3 ივნისი

# ქაოსში სხვა დანილო გამოჩნდა

წინა დღეებთან შედარებით მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა 90-ე „ჯირო დიტალიას“ მე-9 ეტაპმა. 177-კილომეტრიანი გზის 72-ე კილომეტრზე პასო დელ კერეტოს 1253-მეტრიანი მთა იყო აღმართული, რომლის უმაღლესი წერტილიდანაც მკვეთრი დაღმართი იწყებოდა და დისტანციის მეორე ნახევარი კი მთლიანად ვაკეზე გადიოდა.

ოთხმა მრბოლმა — ბელარუსმა ანდრეი კუნიცკიმ, ფრანგებმა ფრედერიკ ბესიმ და ნიკოლა კროსბიმ და ძველმა ჩემპიონმა, იტალიელმა სტეფანო გარძელიმ კი მოინდომეს პელოტონიდან გაქცევა და კარგა ხანს წინაც იყვნენ, მაგრამ ფინიშამდე 5 კილომეტრით ადრე ველოქარავანმა ისინი ჩაყლაპა და დაიწყო ბრძოლა უკეთესი საფინიშო პოზიციისთვის. „მილრამის“ წევრები დიდი მონდომებით ცდილობდნენ თავიანთი ლიდერის ალესანდრო პეტაკის წინ წაწევას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სრული ქაოსი იყო. ფრანგი იოჰან ჟენე დაეცა და მასობრივი ზედახორის საშიშროება შეიქმნა, მაგრამ მრბოლები ამას გადაურჩნენ და სულ ბოლოს კი ყველაზე სწრაფი „ლამპრეს“ იტალიელი მრბოლი დანილო ნაპოლიტანო იყო, რომელმაც უკან მოიტოვა ფინიშის დიდოსტატები — ავსტრალიელი რობი მაკიუენი, პეტაკი და წლევანდელი „ჯიროს“ ყველაზე დიდი უიღბლო პაოლო ბეტინი, რომელმაც ვერც ამჯერად მოახერხა ეტაპის მოგება.

საერთო ჩათვლაში არაფერი შეცვლილა. წინ კიდევ ერთი იტალიელი მარკო პინოტია, ხოლო ფავორიტები, დანილო დი ლუკას თამადობით, მოწინავეებს ჯერაც გვარიანად ჩამორჩებიან.

| მე-9 ეტაპი. რეჯიო ნელეჰილია — ლიდო დი კამაიორე. 177 კმ | |
|---|---|
| 1 დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე“) | 4 სთ 57 წთ 08 წმ |
| 2 რობი მაკიუენი (ავსტრალია, „ლოტო“) | |
| 3 ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“) | |
| 4 პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი“) | |
| 5 ჯოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | *ყველას იგივე დრო* |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 მარკო პინოტი (იტალია, „ე-მობაილი“) | 39 სთ 45 წთ 42 წმ |
| 2 ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი“) | +28 წმ |
| 3 სერგეი იაკოვლევი (ყაზახეთი, „ასტანა“) | +54 წმ |
| 4 მარსიო ბრუსეგინი (იტალია, „ლამპრე“) | +1წთ 06 წმ |
| 5 ფრანსისკო ვილა ერანდონეა (ესპანეთი, „ლამპრე“) | +1წთ 10 წმ |



მძლეოსნობა



# გრეგორიუმ ოლივეირა დაამხო

**გახსოვთ,** ჟოაო კარლოს დე ოლივეირა? ძველ ქომაგებს გემახსოვრებათ. ეს სწორედ ის ბრაზილიელი სამხტომელია, რომელმაც 1975 წელს, მეხიკოში მიმდინარე პანამერიკულ თამაშებზე ჩვენი ვიქტორ სანეევის მსოფლიო რეკორდი (17,44მ.) ერთბაშად 45 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

ერთი წლის შემდეგ სანეევმა ოლივეირა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზეც დაამარცხა და 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზეც უკან ჩამოიტოვა, მაგრამ რეკორდი რეკორდად დარჩა და კარგა ხანს ურყევადაც იდგა.

და, რატომ გაგვახსენდა ოლივეირა? იმიტომ, რომ მისი 32 წლის წინანდელი შედეგი მსოფლიოს არა, მაგრამ გასულ კვირამდე სამხრეთ ამერიკის რეკორდად რჩებოდა და აი, ბრაზილიის ქალაქ ბელემში იააფ-ის (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) მორიგ ტურნირზე 26 წლის ბრაზილიელი ჟადელ გრეგორიუ 17,90 მეტრზე გადახტა და ოლივეირას რეკორდი ხომ დაამხო, სეზონის საუკეთესო შედეგიც აჩვენა.

ბელემში გრეგორიუს ბრწყინვალე სერია ჰქონდა: პირველ ცდაზე 17,66, მესამეზე — 17,47 და მეხუთეზე — 17,90. კუბელი ონიელუ ტონკეს სეზონის საუკეთესო შედეგს ბრაზილიელმა ერთბაშად 38 სანტიმეტრი მოუმატა.

2001 წელს დიადი ბრიტანელი ჯონათან ედვარდსი 17,92 მეტრზე რომ გაფრინდა, მას შემდეგ სამი ნახტომის ჯამში ასე შორს აღარავინ გადამხტარა და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 17,90 მეტრზე შორს, ისტორიაში ოდენ ხუთნი გადამხტარან: მსოფლიოს რეკორდი — 18,29 ედვარდსს ეკუთვნის და მის გარდა ხუთეულში ამერიკელები კენი ჰარისონი (18,09) და ვილი ბენქსი (17,97) ბულგარელი ხრისტო მარკოვი (17,92) და იამაიკელი ჯეიმს ბეკფორდი (17,92) შედიან.

ბელემის შეჯიბრზე თავგამოჩენილი სხვა მძლეოსნებიდან იამაიკელი სპრინტერი შერი-ან ბრუკსი უნდა გამოვყოთ. ამ მარდმა დიაცმა ჯერ 100 მეტრზე სირბილში აჯობა ყველას 11,21 წამი შედეგით, შემდეგ კი 200 მეტრი 22,87 წამში გაირბინა და იქაც პირველი მიიჭრა ფინიშთან.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge